	Gross amounts before offsetting in the statement of financial position (a)	Gross amounts set off in the statement of financial position (b)	Net amount after offsetting in the statement of financial position (c) = (a) – (b)
ASSETS			
Accounts receivable from roaming partners	3,610	(43)	3,567
Accounts receivable from accrued roaming discounts	2,663	51	2,714
TOTAL ASSETS SUBJECT TO OFFSETTING, MASTER NETTING AND SIMILAR ARRANGEMENT	**6,273**	**8**	**6,281**
LIABILITIES			
Payables for roaming	(467)	43	(424)
Accounts payable for accrued roaming discounts	(6,155)	(51)	(6,206)
TOTAL LIABILITIES SUBJECT TO OFFSETTING, MASTER NETTING AND SIMILAR ARRANGEMENT	**(6,622)**	**(8)**	**(6,630)**

The amount set off in the statement of financial position reported in column (b) is the lower of (i) the gross amount before offsetting reported in column (a) and (ii) the amount of the related instrument that is eligible for offsetting and (c) for each individual instrument in order not to understate the ultimate net exposure.

The Company has master netting arrangements, which are enforceable in case of default. In addition, applicable legislation allows an entity to unilaterally set off trade receivables and payables that are due for payment, denominated in the same currency and outstanding with the same counterparty. These fall in the scope of the disclosure as they were set off in the statement of financial position.

31 Events after the Reporting Period

Changes in key management. Effective from 1 January 2025, Mr. Genadi Rostomauli and Mr. Giorgi Niniashvili have been appointed as Chief Technology Officer (CTO) and Chief Information Technology Officer (CITO), respectively. As of 1 February 2025, Mrs. Tamar Jikia has assumed the position of Project Management Officer. Furthermore, effective 1 April 2025, Mr. Rostom Talakhadze assumed the role of Chief Executive Officer (CEO), replacing former CEO Mr. Irakli Esartia, who had earlier taken over the position following the tragic passing of Mr. Dimitri Shughliashvili in November 2024.

შპს „სელფი მობაილ“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს სელფი მობაილ და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მომზადების საფუძველი 7
4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია ... 7
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ... 14
6 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 17
7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 17
8 ძირითადი საშუალებები 18
9 აქტივის გამოყენების უფლება 19
10 არამატერიალური აქტივები 20
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 20
12 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები 23
13 სადეპოზიტო სერტიფიკატები 23
14 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
15 კაპიტალი 24
16 ნასესხები სახსრები 25
17 საიჯარო ვალდებულებები 28
18 ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის 29
19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 29
20 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით 30
21 მომსახურების ხარჯი 30
22 სხვა საოპერაციო ხარჯები 31
23 ფინანსური ხარჯები 31
24 ფინანსური შემოსავალი 31
25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 32
26 ფინანსური რისკის მართვა 33
27 კაპიტალის მართვა 38
28 სამართლიანი ღირებულების შეფასება 38
29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 40
30 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა 41
31 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სელფი მობაილის მესაკუთრეებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს სელფი მობაილის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო; ს/კ 405220611
საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის ქ. №12, ბიზნეს ცენტრი King David, მე-7 სართული;
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ჩვენი აუდიტის მიდგომა

მიმოხილვა

არსებითობა	• კომპანიის საერთო არსებითობა: 1,690 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს მომსახურების მთლიანი ამონაგების 1%-ს.
აუდიტის ძირითადი საკითხები	• ამონაგების აღიარება - მომსახურების ამონაგების არსებობა და სიზუსტე

ჩვენი აუდიტის შემუშავების ფარგლებში, განვსაზღვრეთ არსებითობა და შევაფასეთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკი. კერძოდ, განვიხილეთ, სად გამოიყენა ხელმძღვანელობამ სუბიექტური განსჯა; მაგალითად, მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებით, რაც მოიცავდა დაშვებების გაკეთებას და ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებას, რომლებიც არსებითად განუსაზღვრელია. ისევე, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ასევე განვიხილეთ შიდა კონტროლის ხელმძღვანელობის მიერ იგნორირების რისკი, სხვა საკითხებთან ერთად გავითვალისწინეთ, არსებობს თუ არა მიკერძოებულობის მტკიცებულება, რაც წარმოადგენდა თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკს.

ჩვენი აუდიტის მოქმედების ფარგლები მოვარგეთ არსებულ მდგომარეობას, რათა საკმარისი სამუშაო ჩაგვეტარებინა იმისათვის, რომ მოსაზრება გამოგვეთქვა მთლიანად ფინანსური ანგარიშგების შესახებ, კომპანიის სტრუქტურის, სააღრიცხვო პროცესებისა და კონტროლის მექანიზმების, ასევე იმ დარგის გათვალისწინებით, სადაც კომპანია ოპერირებს.

არსებითობა

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის მოქმედების ფარგლებზე გავლენა იქონია არსებითობის გამოყენებამ. აუდიტის მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. ისინი არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე განვსაზღვრეთ არსებითობის გარკვეული რაოდენობრივი ზღვრები, მათ შორის მთლიანად კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთო არსებითობა, რომელიც ქვემოთ ცხრილში არის მოცემული. აღნიშნული, ხარისხობრივი საკითხების გათვალისწინებასთან ერთად, დაგვეხმარა აუდიტის ფარგლების, ასევე აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრაში და მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გავლენის შეფასებაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

კომპანიის საერთო არსებითობა	1,690 ათასი ლარი
როგორ განვსაზღვრეთ	მომსახურების მთლიანი ამონაგების 1%.
გამოყენებული არსებითობის ნიშნულის დასაბუთება	მომსახურების მთლიანი ამონაგები შევარჩიეთ, როგორც ნიშნული, რადგან ჩვენი აზრით, ეს არის ნიშნული, რომლის მიხედვით ყველაზე ხშირად ფასდება კომპანიის საქმიანობის შედეგები მომხმარებლების მიერ, და ის წარმოადგენს ზოგადად მიღებულ ნიშნულს. ვარჩიეთ, რომ შერჩეული ნიშნულისთვის გამოყენებული ყოფილიყო 1%, რადგან ის შესაბამისობაშია არსებითობის იმ რაოდენობრივ ზღვრებთან, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივი დაინტერესების კომპანიებში

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხებია ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯით, ყველაზე მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის. ეს საკითხები განხილულ იქნა მთლიანად ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში, ასევე ჩვენს მიერ მოსაზრების ჩამოყალიბებისას და ჩვენ ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ აღნიშნულ საკითხებზე.

აუდიტის ძირითადი საკითხი	ჩვენი მიდგომა აუდიტის ამ ძირითადი საკითხისადმი
ამონაგების აღიარება - მომსახურების ამონაგების სიზუსტე და მისი არსებობის მტკიცება იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 და მე-20 განმარტებითი შენიშვნა დაკავშირებული განმარტებებისთვის. მომსახურების ამონაგებმა, რომელიც შედგება წინასწარი გადახდის სისტემის ამონაგებისგან, პაკეტებიდან მიღებული ამონაგებისგან, A2P შეტყობინებების ამონაგებისგან და სხვა ამონაგებისგან, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 156,794 ათასი ლარი (2023: 142,217 ათასი ლარი). ის შედგება შედარებით მცირე ოპერაციების დიდი მოცულობისგან და გააჩნია მრავალგვარი სატარიფო გეგმა. ეს ოპერაციები, მათი თანხების თვალსაზრისით, ექვემდებარება მნიშვნელოვან თანდაყოლილ რისკს აღრიცხული სიზუსტისა და არსებობის მტკიცებებთან მიმართებით, შემდეგი მიზეზების გამო: • ბილინგის და სხვა საოპერაციო მხარდაჭერის სისტემების, პროცესებისა და კონტროლის სირთულე, რომელიც აუცილებელია მომსახურების ამონაგების იდენტიფიცირებისთვის და სათანადოდ აღრიცხვისთვის; • ამონაგების შესახებ მონაცემების ხელით დამუშავების დონე სააღრიცხვო პროგრამაში გადატანამდე; და •. მუდმივად ცვალებადი ბიზნესის გავლენა, ფასები და სატარიფო მოდელები (სატარიფო სტრუქტურების, მომხმარებელთა ფასდაკლებებისა და წამახალისებლების ჩათვლით).	ჩვენი აუდიტის მიდგომა მოიცავდა შიდა კონტროლისა და არსებითი პროცედურების შესრულების ნიმუშზე დაფუძნებულ შემოწმებას, რომელიც მოიცავს შემდეგს: • იმ საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს გააზრება და შეფასება, რომელშიც განთავსებულია აბონენტთა ბილინგის და სხვა შესაბამისი მხარდაჭერის სისტემები, ცვლილებების მართვისა და შეზღუდული წვდომის პროცედურების ჩათვლით. ამ პროცესში, ჩვენ, ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებიც ჩავრთეთ. • შიდა კონტროლის აგებულებისა და ოპერაციული ეფექტურობის შემოწმება მომსახურების ამონაგების გამომუშავებისა და მოთხოვნების ბიზნეს პროცესში. • ნიმუშზე დაფუძნებული საკონტროლო შემოწმების განხორციელება აბონენტთა აქტივობების სიზუსტეზე, მიწოდებული მომსახურების ხასიათისა და იმის შეფასებით, გამოყენებული იყო თუ არა სათანადო ტარიფები. • აბონენტთა ქსელში დაფიქსირებული აქტივობის გამჭოლი დამუშავების ნიმუშზე დაფუძნებული საკონტროლო შემოწმება, აბონენტის აქტივობის მედიაციიდან ბილინგის სისტემებამდე. • ბილინგის თითოეული სისტემის მიხედვით მომსახურების ამონაგების შეჯერება სააღრიცხვო პროგრამასთან და ფინანსურ ანგარიშგებასთან. • წლის განმავლობაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთო რეგისტრში ხელით განხორციელებული, ამონაგებთან დაკავშირებული არსებითი ჩანაწერების მიზნობრივი შემოწმება.

აღნიშნული აუდიტის ძირითად საკითხად მივიჩნიეთ, რადგან მასშტაბი, ისევე როგორც გაზრდილი რისკი, მოითხოვს აუდიტის მნიშვნელოვან ყურადღებას და ძალისხმევას კონტროლისა და არსებითი შემოწმებების პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს მომსახურების ამონაგების სიზუსტისა და მისი არსებობის განსასაზღვრად.	• მობილური მომსახურებებისთვის მიღებული ანაზღაურების შეჯერება მობილური აბონენტებისგან აღიარებული ამონაგების ჯამურ ოდენობასთან, მომხმარებელთა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთებში ცვლილების გავლენის გათვალისწინებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების და მე-7 (გ), (დ) პუნქტების მოთხოვნებს.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და მე-7 (ა), (ბ), (დ) – (ვ) პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ოფიციალურად ვაცნობებთ, რომ დავიცავით შესაბამისი ეთიკის მოთხოვნები დამოუკიდებლობასთან მიმართებით და ვაწვდით ინფორმაციას ყველა იმ ურთიერთობისა თუ სხვა საკითხების შესახებ, რომელთაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, საფრთხეების აღმოსაფხვრელად მიღებულ ზომებსა და საჭიროების შემთხვევაში, დაკავშირებულ დამცავ ზომებზე.

იმ საკითხებიდან, რომელთა შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, გამოვყოფთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც წარმოადგენს აუდიტის ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აუდიტის დასკვნაში აღვწერთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ან რეგულირებით დაუშვებელია ამ საკითხების გასაჯაროება და ძალიან იშვიათ შემთხვევებში ვსაზღვრავთ, რომ ესა თუ ის საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან მსგავსი ქმედების უარყოფითი შედეგები, გონივრულად მოსალოდნელია, რომ გადააჭარბებს მსგავსი კომუნიკაციით საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილებიდან წარმოქმნილ სარგებელს.

აუდიტის, რომლის შედეგად მიღებულ იქნა წინამდებარე აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ლაშა ჯანელიძე.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 14 მაისი
თბილისი, საქართველო

შპს სელფი მობაილ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	127,135	106,077
აქტივის გამოყენების უფლება	9	22,513	24,689
არამატერიალური აქტივები	10	16,710	12,140
სხვა არაფინანსური აქტივები	12	2,964	3,257
სულ გრძელვადიანი აქტივები		**169,322**	**146,163**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		365	301
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	6,637	9,602
სხვა არაფინანსური აქტივები	12	9,639	7,356
სადეპოზიტო სერტიფიკატები	13	20,085	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	14,883	20,210
სულ მოკლევადიანი აქტივები		**51,609**	**37,469**
სულ აქტივები		**220,931**	**183,632**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	15	986,129	986,129
დაგროვილი ზარალი		(919,372)	(954,751)
სულ კაპიტალი		**66,757**	**31,378**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	78,853	81,709
საიჯარო ვალდებულებები	17	13,785	16,194
ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის	18	2,348	2,043
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**94,986**	**99,946**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	16	3,304	2,903
საიჯარო ვალდებულებები	17	10,863	9,577
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	32,812	30,926
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	12	12,209	8,902
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**59,188**	**52,308**
სულ ვალდებულებები		**154,174**	**152,254**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**220,931**	**183,632**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 14 მაისს:

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-43, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომსახურებიდან	20	169,730	153,678
სხვა შემოსავალი	29	4,191	-
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	8,9	(37,777)	(29,277)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯი		(24,826)	(19,470)
მომსახურების ხარჯები	21	(18,853)	(26,197)
კომუნალური ხარჯები		(9,506)	(9,555)
მოვლა-შენახვის ხარჯები		(8,526)	(6,905)
მარკეტინგის ხარჯები		(6,111)	(7,714)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	(4,318)	(4,257)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღდგენა /(გაუფასურება)	8	839	(957)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(16,177)	(15,059)
საოპერაციო მოგება		**48,666**	**34,287**
ფინანსური ხარჯები	23	(14,818)	(41,992)
ფინანსური შემოსავალი	24	2,247	1,344
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო		(389)	13,257
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(327)	(178)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**35,379**	**6,718**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა შემოსავალი		**35,379**	**6,718**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**35,379**	**6,718**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-43, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სელფი მობაილ

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	განთავსებული კაპიტალი	დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15	**2**	**488,165**	**(81,792)**	**(997,769)**	**(591,394)**
წლის წმინდა შემოსავალი		-	-	-	6,718	**6,718**
სულ წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**6,718**	**6,718**
ერთობლივი ნასესხები სახსრების დაფარვა	16	-	-	91,694	-	**91,694**
ერთობლივ ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯისა და საკურსო სხვაობის ეფექტის გადაცემა		-	-	(9,902)	9,902	-
მესაკუთრისადმი ვალდებულების პატიება	15	-	-	-	16,659	**16,659**
მესაკუთრის სესხის კაპიტალში შეტანა	15,16	986,127	(488,165)	-	9,739	**507,701**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	**986,129**	**-**	**-**	**(954,751)**	**31,378**
წლის წმინდა შემოსავალი		-	-	-	35,379	**35,379**
სულ წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**35,379**	**35,379**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	**986,129**	**-**	**-**	**(919,372)**	**66,757**

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		35,379	6,718
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	8,10	37,777	29,277
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	4,318	4,257
გაუფასურების დარიცხვა/(აღდგენა) ძირითად საშუალებებზე	8	(839)	957
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	11	49	1,920
აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულების ანარიცხის ცვლილებები	18	9	(149)
ფინანსური შემოსავალი	23	(2,247)	(1,344)
ფინანსური ხარჯები	23	14,818	41,992
სხვა არაფულადი საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)		(3 192)	697
სავალუტო ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		389	(13,257)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:		**86,461**	**71,068**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		3,385	1,970
სხვა არაფინანსური აქტივების შემცირება/(ზრდა)		2,192	(1,597)
მარაგების ზრდა		(64)	(20)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(254)	(5,969)
სხვა არაფინანსური ვალდებულებების ზრდა		3,306	380
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**8,565**	**(5,236)**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2,005	1,153
გადახდილი პროცენტი		(14,430)	(3,464)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**82,601**	**63,521**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		99	95
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(54 438)	(41,754)
სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენა		(20 000)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(74,339)**	**(41,659)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	16	-	136,869
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(2,539)	(145,882)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი თანხა	17	(11,272)	(9,879)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(13,811)**	**(18,892)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(5,549)**	**2,970**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		222	(182)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	**20,210**	**17,422**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	**14,883**	**20,210**

1 შპს სელფი მობაილ და მისი საქმიანობა

შპს „სელფი მობაილ" (შემდგომში - „სელფი მობაილ", „კომპანია"), დაფუძნდა 2003 წლის 19 ნოემბერს და საქმიანობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიებია შპს Watertrail Industries (BVI) 71% მფლობელობით და შპს Investico Alliance 29% მფლობელობით. შპს Miren Invest წარმოადგენს საბოლოო მშობელ კომპანიას და მას საბოლოოდ აკონტროლებს ბ-ნი ხვიჩა მაქაცარია.

2023 წლის ივლისში, განხორციელდა კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურის რეორგანიზაცია და შპს მირენ ინვესტი გახდა საბოლოო მშობელი კომპანია.

2024 წლის დეკემბერში, 2023 წელს კომპანიის მიერ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 65 მილიონი ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებით (შენიშვნა 16), Scope Ratings GmbH-ის მიერ მოხდა კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დადასტურება სტაბილური პერსპექტივის მქონე „BB-" რეიტინგით (2023: „BB-" სტაბილური პერსპექტივით).

კომპანიის არც უშუალო მშობელი კომპანია და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და შეესაბამება ფასს-ის საყრიცხვო სტანდარტებს.

2023 წელს, კომპანიამ, მის საბოლოო მაკონტროლებელ ბენეფიციარ მფლობელთან, ხვიჩა მაქაცარიასთან ერთად, დააფუძნა შვილობილი კომპანია, შპს Pays, პირდაპირი საკუთრებით 51% და 49% შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს Pays უმოქმედო საწარმო იყო.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ბამბის რიგის #8 , ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზირი #118.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს GSM სტანდარტის მობილური სატელეკომუნიკაციო სერვისების მიწოდებით საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილში სავაჭრო ნიშნით „სელფი მობაილ".

კომპანია საქმიანობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ გაცემული შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

- ლიცენზია #F5, #42 და #59 (რადიო სიხშირული სპექტრები: 1775-1785 მჰც, 1870-1880 მჰც, 884.50-889.99 მჰც და 929.50-934.99 მჰც, ერთად მოხსენიებული როგორც „2G") კომბინირებული GNCC-ის 2015 წლის 29 იანვარს გაცემული #55/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა გახანგრძლივდა 2030 წლის 1 თებერვლამდე;
- ლიცენზია #F97 (Long-Term Evolution რადიოსიხშირული სპექტრები: 806-816 მჰც და 847-857 მჰც, ერთად მოხსენიებული როგორც „4G LTE"), მობილური ტელეფონებისა და მონაცემთა ტერმინალებისთვის მაღალსიჩქარიანი მონაცემების უსადენო კომუნიკაციის სტანდარტი, გაცემული 2015 წლის 29 იანვარს GNCC-ის #56/1 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2030 წლის 1 თებერვლამდე ვადით;
- ლიცენზია #101 და #102 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1925-1930 მჰც და 2115-2120 მჰც - ლიცენზია F101; და 1930-1935 მჰც და 2120-2125 მჰც - ლიცენზია F102, ერთად მოხსენიებული როგორც „3G"), გაცემული 2016 წლის 29 დეკემბერს GNCC-ის #854/1 და #855/1 გადაწყვეტილებებით, 2031 წლის 29 დეკემბრამდე ვადით;

1 შპს სელფი მობაილ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

- ლიცენზია #F106 (რადიოსიხშირული სპექტრები: 703–708 მჰც (Up-link), 758-763 მჰც (Down-link) და 3550–3600 მჰც ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "5G") გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/432 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით;
- ლიცენზია #F107 #F108 (რადიოსიხშირული სპექტრები: 2575–2595 მჰც და 1770–1775 მჰც ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "5G" TDD (Time Division Duplex) ტექნოლოგია) გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/433 და #1/434 გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით;
- ლიცენზია #F109 (რადიოსიხშირული სპექტრები: 1770–1775 მჰც (Up-link) და 1865–1870 მჰც (down-link) ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "LTE") გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/435 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. შესაბამისად, კომპანია ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებს, რომლებიც ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორისაა შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლები. საქართველოს საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობს განვითარებას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, აღრმავებს იმავე სფეროში მოქმედი საწარმოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე ომმა, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებულ სანქციებთან ერთად, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ომში ჩართული ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. ამ სანქციების შედეგად, ბევრ ქვეყანაში გაიზარდა სასაქონლო და სურსათის ფასები, დაირღვა კრიტიკული რესურსების დამკვიდრებული მიწოდების ჯაჭვები და გამძაფრდა ინფლაციური ზეწოლა მრავალ ბაზარზე. ანალიტიკოსები აგრძელებენ გლობალური ინდუსტრიებისთვის უფრო ფართო ეკონომიკური შედეგების პროგნოზირებას.

განუსაზღვრელობის მასშტაბის ზრდა, სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადების მერყეობა და ინფლაციური ზეწოლა საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. გეოპოლიტიკური გარემოს სწრაფი ცვლილებისა და რეგიონზე მისი არაპირდაპირი გავლენის გათვალისწინებით, გრძელვადიანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კვლავაც საკმაოდ გაურკვეველია. ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული დაშვებები, შეფასებები და განსჯა ეფუძნება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ საუკეთესო ინფორმაციას; თუმცა, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე მოლოდინებისგან.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს მოვლენების ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა გავლენა, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს"-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად პირვანდელი ღირებულებების კონვენციის მიხედვით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

ფასს-თან შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის, აგრეთვე, ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, გამოიყენოს განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, სადაც განსჯისა და კომპლექსურობის მაღალი დონეა ჩართული, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, განმარტებულია შენიშვნებში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია .კომპანიის ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („₾").

ოპერაციები და ნაშთები. ოპერაციები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია ქართულ ლარში ოპერაციის დღის გაცვლითი კურსის მიხედვით. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება დახურვის კურსის გამოყენებით, სხვაობებით, რომლებიც გადატანილია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში „ფინანსური შემოსავლების ან ხარჯების" ნაწილში. არაფულადი მუხლები, რომლებიც ფასდება უცხოურ ვალუტაში პირვანდელი ღირებულების მიხედვით, გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში საწყისი ოპერაციის თარიღებზე მოქმედი სავალუტო კურსით. რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ განსაზღვრული იყო: ამერიკული დოლარი 1=2.8068 ქართულ ლარს და ევრო 1=2.9306 ქართულ ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ამერიკული დოლარი 1=2.6894 ქართულ ლარს და ევრო 1=2.9753) ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამონაგების აღიარება: სელფი მობაილი ამონაგებს გამოიმუშავებს მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო მიწოდებიდან, მთელი რიგი უსადენო და ფართოზოლოვანი ქსელების გამოყენებით. პროდუქტები და მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე ან კრებულ პაკეტებად.

ამონაგები მომსახურებიდან

ამონაგები მომსახურებიდან მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (VAS) საფასურს. VAS მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

VAS-სთან დაკავშირებული კონტენტიდან ამონაგები წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, ამონაგების განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, ამონაგები ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

ამონაგები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის ამოღების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი ამონაგები გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (მოთხოვნების) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (მიღებული ავანსები) ნაშთების შემთხვევაში უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

წინასწარი გადახდის სისტემა *(PAYG)*

გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების სატარიფო გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, ამონაგები ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

ამონაგები ურთიერთჩართვიდან და როუმინგიდან

ურთიერთჩართვიდან ამონაგების გამომუშავება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „სელფი მობაილის“ ქსელში სრულდება.

როუმინგიდან ამონაგები მოიცავს, როგორც „სელფი მობაილის“ მომხმარებლებისგან ამონაგებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე „სელფი მობაილის“ ქსელში ჩართული სხვა ქვეყნის მობილური ქსელის ოპერატორების მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის მიღებულ ამონაგებს. ორივე სახის ამონაგების შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში შესაბამისი მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტრაფიკის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მობილური ოპერატორებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარის განხორციელება.

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან გულისხმობს ამონაგებს სხვა ქსელის ოპერატორების აბონენტებისგან წარმოშობილი ბიზნეს შეტყობინებების მიღებიდან, მიუხედავად იმისა დასრულდება თუ არა სელფი მობაილის ქსელში, თუ გადაიცემა შემდეგში. ამონაგების ეს ნაკადი ასევე მოიცავს შემოსავალს, რომელიც მიიღება იმ კომერციული საწარმოებისგან, რომლებიც იყენებენ სელფი მობაილის ქსელს ასეთი ბიზნეს შეტყობინებების გავრცელებისთვის.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

A2P მოკლე ტექსტური შეტყობინებები წარმოადგენს ისეთ შეტყობინებას, რომელზეც პასუხი მიმღებისგან არ არის სავალდებულო და გამოიყენება ბიზნესის მიერ მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის. ამონაგების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

პაკეტები

პაკეტები არის მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც სელფი მობაილ გთავაზობთ ერთ ან ერთზე მეტ მომსახურებას.

მომსახურებები შეიძლება იყოს მიწოდებული ან „პაკეტებად შეკრული“ სხვადასხვა ხელშეკრულებში ან ხელშეკრულებების ჯგუფებში, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია ისე, რომ, არსებითად, ისინი ერთი შეთანხმების ნაწილია.

პაკეტებში შემავალი მომსახურეები წარმოადგენს შესრულების ვალდებულებებს, რომლებიც სრულდება დროთა განმავლობაში და იგივე მეთოდი გამოიყენება კომპანიის შესრულების პროგრესის შესაფასებლად, შესაბამისად, პაკეტები აღირიცხება, როგორც შესრულების ერთი ვალდებულება. ამ ვალდებულებების შესრულების მაქსიმალური ვადა, ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, არის 90 დღე.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდებში შენატანების, ანაზღაურებადი შვებულების და ბიულეტენის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (როგორიცაა, მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება) დარიცხვა ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან სხვა მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდა, გარდა კანონით განსაზღვრული გადახდის სქემისა.

მომხმარებლის შეძენის ხარჯები. გარკვეული ხარჯები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახალ ან არსებულ მომხმარებელთან ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები ბუღალტრულ ბალანსში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად საჭიროა დამატებითი ხარჯების გაწევა;
- დამატებითი ხარჯები ანაზღაურდება;
- გაწეული ხარჯები დამატებით ღირებულებას წარმოადგენს სელფი მობაილისთვის

ყველა ის ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, ხარჯად აისახება მათი გაწევისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ 5 წლიდან 10 წლამდე პერიოდით გადავადდება იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე ბრუნვა აქვთ. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება გარიგების მთლიანი (ბრუტო) თანხით, მათ შორის დღგ-თი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	6-20 წელი
საოფისე მოწყობილობები	6-10 წელი
ავეჯი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	3-10 წელი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს მიწას, ოფისებს მაღაზიებისთვის, ოფისის შენობას და სხვა ტერიტორიებს სადაც განთავსებულია ქსელის აღჭურვილობა და ავტომობილებს. იჯარის ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ იჯარის კომპონენტს და თითოეული სივრცის იჯარა აღირიცხება როგორც ერთი იჯარის კომპონენტი.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღამდე, შემცირებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყველა თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა დაერიცხება წრფივი მეთოდით (ვადის გაგრძელების გათვალისწინებით), იჯარის ვადის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულია იჯარის გამოვლენილი კატეგორიები, რომლებიც გამოყენებული შეიძლება იქნეს სელფი მობაილისთვის, ასევე გონივრულად სარწმუნო იჯარის ვადასთან ერთად, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მაღაზიები	3 წელი
ტერიტორიები საბაზო სადგურებისთვის	5-8 წელი
საწყობები	5 წელი
ოფისები	3-7 წელი
ავტომობილები	4 წელი

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	10-15 წელი
პროგრამული უზრუნველყოფა	3-10 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	1-8 წელი

აქტივების გაუფასურება. კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის, გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება, რომელიც მეხუთე წლის შემდეგ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოიყენება. უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯის კატეგორიებში.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივების კლასიფიკაციას ამორტიზირებული ღირებულებით ახორციელებს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ყველა ფინანსური აქტივი კავდება აქტივებისგან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნებისა და ფასს 15-ის საფუძველზე ამონაგების ნაწილად აღიარებული სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია გასული 12 თვის განმავლობაში გაყიდვების საგადასახადო პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალზე.

ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციის ასახვის მიზნით. კომპანია აანალიზებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, ამასთან, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს არ აქვთ არსებითი შედეგი და, შესაბამისად, კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას თავის სტანდარტულ განაკვეთებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სეგმენტებს იყენებს:

- მომხმარებლებისგან მისაღები მოთხოვნები
- მოთხოვნები როუმინგისა და ურთიერთჩართვისთვის
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე ნასესხებ სახსრებსა და საიჯარო ვალდებულებებს და კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

მშობელი კომპანიებისგან ნასესხები სახსრები

დროდადრო მშობელი კომპანიები გასცემენ სესხებს და ნასესხებ სახსრებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალგანაკვეთიანი სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც არის მომავალში დასაფარი თანხების დღევანდელი ღირებულება, სესხის მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის მიერ სესხად მიღებულ ანაზღაურებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა განიხილება, როგორც მშობელი კომპანიის მიერ კაპიტალში შენატანი, და აღირიცხება, როგორც დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს სესხები და ნასესხები სახსრები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების და ნასესხები სახსრების პირობებში (საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის თარიღები და ა.შ.) შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, შეფასებაში ცვლილებებად განიხილება და პერსპექტიულად აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი ცვლილება. გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი შედის ფინანსურ ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას. ვადის გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის ოფციონის შემდეგი პერიოდი) შეყვანილია საიჯარო პირობებში მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც „საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს მსგავსი ვადით და უზრუნველყოფით სესხის აღებისთვის, თანხები, რომლებიც აუცილებელია მსგავს ეკონომიკურ გარემოში, აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად“.

2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობს იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი.

საიჯარო გადახდები განაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

სადეპოზიტო სერთიფიკატები. სადეპოზიტო სერთიფიკატი (CD) არის საინვესტიციო ინსტრუმენტი დეპოზიტის სახით, რომელიც განთავსებულია ბანკში, ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტში. მას, როგორც წესი, აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, საწყისი ვადა სამ თვეზე მეტია და დაფარვას ექვემდებარება ვადის გასვლისას, დარიცხულ პროცენტთან ერთად. სადეპოზიტო სერთიფიკატები დაბალი რისკის მქონე ინვესტიციებად ითვლება, რადგან მათ, როგორც წესი, უზრუნველყოფს გამომშვები ინსტიტუტის კრედიტუნარიანობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

განთავსებული კაპიტალი. განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები განთავსებულ კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები. როდესაც არსებობს ცვლილებები არსებული აქტივის ხმარებიდან ამოღების ვალდებულების შეფასებაში, შეფასებული დროის ცვლილებების ან რესურსების გადინების ოდენობის გამო, რომლებიც მოიცავს ვალდებულების დასაფარად საჭირო ეკონომიკურ სარგებელს, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილებას, დაკავშირებული აქტივის ღირებულება, კორექტირდება, თუ დაკავშირებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ან გადაფასების ნამეტი კორექტირდება, თუ აქტივი შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე მუხლის დემონტაჟისა და ამოღების შეფასებული ხარჯები (აქტივის ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები) ემატება მუხლის ღირებულებას მისი შეძენისას ან შეძენის შემდეგ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის გარდა სხვა მიზნებისთვის, ნივთის გამოყენების დროს.

გამოცემის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოცემის შემდეგ, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც გამოსაცემად დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია ის განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვებისა და პერიოდული გამოწერებიდან მიღებული ამონაგებისგან. კომპანია აბონენტებს სთავაზობს, მრავალელემენტიანი გარიგებებით („პაკეტები“) ან სხვაგვარად, რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა სატარიფო გეგმით; ასევე, სთავაზობს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ფასდაკლებებს, ხშირად სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ან კლიენტებთან ურთიერთობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. თითოეული მისაწოდებელი მომსახურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება კომპლექსური შეფასებები იყოს საჭირო, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ასევე ყიდის საბითუმო მომსახურებას სხვა ოპერატორებსა და შემსყიდველებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს მიღმა. ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს შეფასებები ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც გარკვეულწილად დაეყრდნობა სხვა ოპერატორებისგან მიღებულ ინფორმაციას მიწოდებული მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს შეფასებებს საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა მხარეები სადავოს ხდიან გადასახდელ თანხებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა იმ პერიოდის გამოსათვლელად, რომელ პერიოდშიც უნდა აღიაროს შემოსავალი. ეს შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში (მუდამ მზად ყოფნის ვალდებულება) ან ხელშეკრულების განახლების სერიული ან არსებითი უფლებების შემთხვევაში (მაგ., თვიდან თვემდე ხელშეკრულებები). სელფი მობაილის მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადის განსაზღვრის პოლიტიკა შემდეგ ფორმულას ეხება:

მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადა = 1 ÷ აბონენტების დენადობა

ხელმძღვანელობა ასევე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ოპერაციებში კომპანია მოქმედებს მთავარი პირის თუ წარმომადგენლის სახით. ასეთ შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, მთავარი ფაქტორი ის არის, თუ რამდენად ითვლება კომპანია ოპერაციებში მთავარ მოვალედ.

გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ნარჩენი ღირებულების, და ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდის შეფასებებს. შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიური განვითარების, კონკურენციის, საბაზრო პირობების ცვლილებისა და სხვა ფაქტორების გამო, და შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადებში და ამორტიზაციის ან ცვეთის დარიცხულ ოდენობაში. რთულია ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზირება, ხოლო ჩვენი შეხედულებები ტენდენციებსა და განვითარების ტემპზე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა რომ განსხვავდებოდეს 10%-ით ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთა და ამორტიზაციაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გავლენა იქნება მათი გაზრდა 3,425 ათასი ლარით ან შემცირება 2,802 ათასი ლარით (2023: ზრდა 2,534 ათასი ლარით ან შემცირება 2,074 ათასი ლარით).

ზოგიერთი აქტივები და ტექნოლოგიები, რომლებშიც კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ გამოიყენება და საფუძვლად უდევს ახალ ტექნოლოგიებს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურები ვადის კრიტიკული სავარაუდო შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სავარაუდო საშუალო მომხმარებელთან ურთიერთობის დენადობის საფუძველზე, დარჩენილი ლიცენზიით ან საკონცესიო პერიოდით და ტექნოლოგიების და ბაზრების მოსალოდნელი განვითარებით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება მინიმუმ ყოველწლიურად, ზემოთ აღნიშნული და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით. მსგავსი ტიპის აქტივებისთვის, სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის სხვადასხვა საწარმოების მიხედვით, ადგილობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა ზრდის ტემპი, ბაზრის მზაობა, აქტივების ჩანაცვლების ან გადაცემის ისტორია და მოლოდინები, გამოყენებული კომპონენტების ხასიათი და ხარისხი. არამატერიალური აქტივების ფაქტობრივი საექსპლუატაციო ეკონომიური ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადისგან და ამით იწვევდეს არამატერიალური აქტივების განსხვავებულ საბალანსო ღირებულებას შეზღუდული ექსპლუატაციის ვადით.

ჩვენ ვაგრძელებთ სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის შეფასებას, რათა განვსაზღვროთ, თუ რამდენად იძლევა მოვლენები თუ გარემოებები მოდიფიცირებული ამორტიზაციის პერიოდების გარანტიას. ცვლილება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, და შესაბამისად ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების კორექტირებაც.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 26-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვს არსებითი გავლენა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე. შესაბამისად კომპანია არ იყენებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის გავლენას ისტორიული ზარალის განაკვეთის კორექტირებისათვის.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდები) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ასეთ შემთხვევებში, როდესაც იჯარის ვადის გაგრძელება სამართლებრივად აღსრულებადია, კომპანიამ განსაზღვრა აქტივების კატეგორიები და განსაზღვრა გონივრულად სარწმუნო იჯარის პირობები.

გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება პირდაპირ განისაზღვროს. 2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობენ, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი.

6 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- ***შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***

- ***ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.)***

- ***ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).***

ამ შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს, ან შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

- ***შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***
- ***ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***
- ***ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).***
- ***ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).***
- ***ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)***
- ***ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობები	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	CIP*	სულ
ღირებულება									
2023 წლის 1 იანვარს	**1,161**	**8,229**	**269,059**	**44,288**	**690**	**781**	**47,289**	**14,860**	**386,357**
დამატება	-	682	5,879	1,010	31	-	445	30,836	**38,883**
გასვლები	-	-	(14,759)	(1,620)	-	(81)	(128)	(562)	**(17,150)**
ტრანსფერები	-	-	10,183	-	-	-	-	(10,183)	**-**
ცვლილება ARO შეფასებებში	-	-	16	-	-	-	-	-	**16**
2023 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**8,911**	**270,378**	**43,678**	**721**	**700**	**47,606**	**34,951**	**408,106**
დამატება	74	586	20,974	333	68	-	227	24,756	**47,018**
გასვლები	-	-	(35,766)	(1,928)	-	(146)	(772)	(121)	**(38,733)**
ტრანსფერები	-	-	28,445	-	-	-	-	(28,445)	**-**
ცვლილება ARO შეფასებებში	-	-	38	-	-	-	-	-	**38**
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**9,497**	**284,069**	**42,083**	**789**	**554**	**47,061**	**31,141**	**416,429**
ცვეთა და გაუფასურება									
2023 წლის 1 იანვარს	**-**	**4,150**	**208,407**	**36,338**	**471**	**722**	**45,830**	**3,929**	**299,847**
ცვეთის ხარჯი	-	483	15,420	2,161	47	31	412	-	**18,554**
გასვლები	-	-	(14,759)	(1,551)	-	(81)	(128)	-	**(16,519)**
გაუფასურების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	147	**147**
2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**4,633**	**209,068**	**36,948**	**518**	**672**	**46,114**	**4,076**	**302,029**
ცვეთის ხარჯი	-	597	23,231	2,001	53	27	594	-	**26,503**
გასვლები	-	-	(35,442)	(1,919)	-	(146)	(771)	(121)	**(38,399)**
გაუფასურების აღდგენა	-	-	-	-	-	-	-	(839)	**(839)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**5,230**	**196,857**	**37,030**	**571**	**553**	**45,937**	**3,116**	**289,294**
საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 1 იანვარს	1,161	4,079	60,652	7,950	219	59	1,459	10,931	86,510
2023 წლის 31 დეკემბერს	1,161	4,278	61,310	6,730	203	28	1,492	30,875	106,077
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**4,267**	**87,212**	**5,053**	**218**	**1**	**1,124**	**28,025**	**127,135**

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი დანადგარები.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს საბაზო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ძირითადი საშუალებების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ, რომლებიც სრულად გაცვეთილია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგინა დაახლოებით 149,561 ათასი ლარი (2023 წელს: 159,448 ათასი ლარი).

გაუფასურების შეფასება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ინდიკატორების შეფასება, რომლის მიხედვითაც გაუფასურების ინდიკატორები არ გამოვლენილა. 839 ათასი ლარის გაუფასურების აღდგენა (2023 წელი: 147 ათასი ლარის გაუფასურების ხარჯი) ეხება დაუმონტაჟებელ, მოძველებულ ქსელურ აღჭურვილობას, დაუმთავრებელ მშენებლობას და სათადარიგო ნაწილებს.

9 აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარით იღებს ფართებს საბაზო სადგურებისთვის, მაღაზიებისთვის და ოფისისთვის. ქირავნობის კონტრაქტებს, როგორც წესი, აქვთ ფიქსირებული ხანგრძლივობა 1 წლიდან 5 წლამდე.

	ტერიტორია საბაზო სადგურისთვის	მაღაზიები და ოფისები	ავტომობილები	საწყობი
ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**19,440**	**4,022**	**281**	**23,743**
დამატება	5,748	1,054	657	**7,459**
გადაფასება და მოდიფიკაცია	3,480	730	-	**4,210**
ცვეთის დარიცხვა	(8,136)	(2,367)	(220)	**(10,723)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**20,532**	**3,439**	**718**	**24,689**
დამატება	3,216	752	356	**4,324**
გადაფასება და მოდიფიკაცია	3,324	1,412	38	**4,774**
ცვეთის დარიცხვა	(8,509)	(2,408)	(357)	**(11,274)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,563**	**3,195**	**755**	**22,513**

10 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნი-კაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერი-ალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**119,056**	**18,766**	**159**	**137,981**
დამატება	4,332	3,532	416	**8,280**
გასვლა / ჩამოწერა	(513)	(1,180)	(268)	**(1,961)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**122,875**	**21,118**	**307**	**144,300**
დამატება	676	8,212	-	**8,888**
გასვლა / ჩამოწერა	(132)	-	-	**(132)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**123,419**	**29,330**	**307**	**153,056**
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2023 წლის 1 იანვარს	**115,502**	**13,976**	**133**	**129,611**
ამორტიზაციის დარიცხვა	1,074	3,183	-	**4,257**
გასვლა / ჩამოწერა	(513)	(1,180)	(15)	**(1,708)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**116,063**	**15,979**	**118**	**132,160**
ამორტიზაციის დარიცხვა	1,336	2,979	3	4,318
გასვლა / ჩამოწერა	(132)	-	-	(132)
2024 წლის 31 დეკემბერს	**117,267**	**18,958**	**121**	**136,346**
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	3,554	4,790	26	8,370
2023 წლის 31 დეკემბერს	6,812	5,139	189	12,140
2024 წლის 31 დეკემბერს	**6,151**	**10,372**	**186**	**16,710**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნების ანგარიშები:		
- მომხმარებლებისგან	1,254	1,627
- ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	718	2,039
- როუმინგის პარტნიორებისგან	5,333	6,281
- ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	1,295	2,051
სხვა	859	886
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(2,822)	(3,282)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**6,637**	**9,602**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში, მხოლოდ ფეი-ბოქსის ოპერატორების მოთხოვნებს გააჩნიათ დაახლოებით 3-5 დღიანი ვადა.

6,423 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2023 წელს: 8,506 თასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, აქედან 5,926 ათასი ლარი (2023 წელს: 8,164 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 497 ათასი ლარი (2023 წელს: 342 ათასი ლარი) - ევროში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ერთიდაიგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია 2024 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვის განმავლობაში გაყიდვების გადახდის პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორს. თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვთ არსებითი გავლენა მომხმარებლების მიერ მოთხოვნების გადახდის უნარზე, ამიტომ კომპანია არ იყენებს ამგვარ საპროგნოზო კორექტირებას მისი ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხების მატრიცის შესაბამისად. ანარიცხების მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით.

	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მიმდინარე	0%	2,160	-	2,160	0%	6,114	-	6,114
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0%	898	-	898	0%	405	-	405
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	15%	481	70	411	33%	565	187	378
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	19%	612	119	493	36%	192	70	122
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	47%	4,449	2,108	2,341	49%	4,722	2,337	2,385
სულ	**27%**	**8,600**	**2,297**	**6,303**	**22%**	**11,998**	**2,594**	**9,404**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სხვა მოთხოვნები								
- მიმდინარე	0%	141	-	141	0%	142	-	142
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0%	185	-	185	0%	38	-	38
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	7	-	7	0%	15	-	15
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	1	-	1	0%	3	-	3
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	100%	525	525	0	100%	688	688	-
სულ	**61%**	**859**	**525**	**334**	**78%**	**886**	**688**	**198**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხებში ცვლილებები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მოდელის საფუძველზე, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის პერიოდში:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვრის მდგომარეობით	**(3,282)**	**(3,971)**
ECL ანარიცხების აღდგენა /(ახალი წარმოქმნილი ან შეძენილი)	(49)	(1,920)
ცვლილებები დაშვებებსა და შეფასებებში	-	-
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღდგენა/(დარიცხვა) მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში	**(49)**	**(1,920)**
ჩამოწერები	509	2,609
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,822)**	**(3,282)**

12 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,116	2,997
საკონტრაქტო ხარჯები	2,585	2,361
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	4,938	1,998
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები	**9,639**	**7,356**
ავანსად გადახდილი დღგ IRU შეთანხმებებზე	2,820	2,880
ძირითადი საშუალებებისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	144	377
სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	**2,964**	**3,257**

სხვა არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	2,438	2,106
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	5,055	3,279
გადავადებული შემოსავალი	4,706	3,517
სხვა	10	-
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**12,209**	**8,902**

13 სადეპოზიტო სერტიფიკატები

სადეპოზიტო სერთიფიკატები წარმოადგენს პროცენტიან, ფიქსირებული განაკვეთის მქონე მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც გასცემს ადგილობრივი ბანკი BB საკრედიტო რეიტინგით. ამ ინსტრუმენტების დაფარვის ვადა არის გამოშვებიდან ექვსი თვის განმავლობაში და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები. ისინი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან კომპანია მათ ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, რომელიც შედგება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებისგან. კომპანიის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე დარიცხული პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 85 ათას ლარს.

14 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგებოდა შემდეგი მუხლებისგან:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	14,781	20,156
კორპორაციული საკრედიტო ბარათები	90	36
ფულადი სახსრები სალაროში	11	16
ფულადი სახსრები გზაში	1	2
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**14,883**	**20,210**

საბანკო ნაშთები და ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს სამ წამყვან ადგილობრივ, BB და B+ რეიტინგის მქონე ბანკებში პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს (2023: BB და B+ რეიტინგის მქონე), რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 2,005 ათასი ლარი (2023: 1,153 ათასი ლარი).

15 კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი. კომპანიის ჯამური განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 986,129 ათას ლარს, რომელიც შედგება 986,129 ათასი განთავსებული წილისგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებით - 1 ლარი.

2023 წლის დეკემბერში მესაკუთრის სესხი 986,127 ათასი ლარის ოდენობით მთლიანად დაკონვერტირდა კომპანიის განთავსებულ კაპიტალში (შენიშვნა 16) მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამრიგად, კომპანიის ჯამური განთავსებული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 986,129 ათას ლარს.

დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. დამატებითი, სრულად ანაზღაურებული კაპიტალი უკავშირდება უშუალო მშობელი კომპანიისგან, შპს Watertrail Industries (BVI) მიღებული ნასესხები სახსრების სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი წული ტოლია ნასესხები სახსრების კაპიტალში კონვერტაციის გამო (იხილეთ მე-16 შენიშვნა).

სხვა რეზერვები. 2023 წლის განმავლობაში, სხვა რეზერვები - კომპანიის მიერ აღიარებული ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან, შესაბამისი ჩანაწერით კაპიტალში - გაიზარდა 9,902 ათასი ლარით პროცენტის დარიცხვის და სავალუტო ეფექტის გამო, აგრეთვე შემცირდა 91,694 ათასი ლარით, დაფარვის შედეგად.

მესაკუთრისადმი ვალდებულების პატიება. 2023 წლის დეკემბერში, შპს Watertrail Industries-ის (BVI) გადაწყვეტილებით, კომპანიის ვალდებულების ნაშთი უშუალო მშობელი კომპანიის მიმართ 6,243 ათასი აშშ დოლარის (16,659 ათასი ლარი) ოდენობით პატიებული იქნა. ოპერაცია განიხილება, როგორც უშუალოდ დაგროვილი ზარალის კორექტირება.

16 ნასესხები სახსრები

ბანკებიდან ნასესხები სახსრები. 2023 წლის 7 დეკემბერს ხელმოწერილი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებისა და მათში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კომპანიას აქვს ორი სინდიცირებული საკრედიტო ხაზი სს თიბისი ბანკთან და სს საქართველოს ბანკთან რომლებიც დენომინირებულია ქართულ ლარში ლიმიტით 32,211 ათასი ლარი. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 29).

ობლიგაციები. 2023 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა 65,000 ათასი ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ობლიგაციებს გააჩნიათ მცოცავი განაკვეთის კუპონი TIBR6M+3.5%. ობლიგაციები დაფარვას ექვემდებარება გამოცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში, 2026 წლის 27 დეკემბერს, ნახევარწლიური პროცენტის გადახდებით.

ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით კომპანიამ გაწია ანდერრაიტინგის საფასურის ხარჯები. ეს ხარჯები აღირიცხება, როგორც ოპერაციის ხარჯები და შეყვანილია ობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში. ეს ხარჯები გადავადებულია ობლიგაციების არსებობის მანძილზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (თავდაპირველ ვალუტაში)	ათვისებული თანხა (თავდაპირველ ვალუტაში)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2024 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	13.00%	₾	7-ივნ-29	7,204
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	13.00%	₾	7-ივნ-29	7,201
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	64,448
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**78,853**
მოკლევადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	13.00%	₾	7-ივნ-29	1,599
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	13.00%	₾	7-ივნ-29	1,600
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	105
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**3,304**
სულ ნასესხები სახსრები							**82,157**

16 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

გამსესხებელი	ხელშეკრულება	საკრედიტო ლიმიტი (თავდაპირველ ვალუტაში)	ათვისებული თანხა (თავდაპირველ ვალუტაში)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	ლარი	7-ივნ-29	8,747
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	ლარი	7-ივნ-29	8,742
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	ლარი	27-დეკ-26	64,220
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**81,709**
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	ლარი	7-ივნ-29	1,387
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	ლარი	7-ივნ-29	1,394
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	ლარი	27-დეკ-26	122
სს საქართველოს ბანკი							
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**2,903**
სულ ნასესხები სახსრები							**84,612**

(*) პლუს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი
(**)პლუს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული tibR6M

მესაკუთრისგან მიღებული სესხები. 2023 წლის დეკემბერში მესაკუთრის 986,127 ათასი ლარის (ნომინალური თანხა) სესხი მთლიანად დაკონვერტირდა (შენატანი) კომპანიის განთავსებულ კაპიტალში მესაკუთრის გადაწყვეტილების შედეგად (შენიშვნა 15). შედეგად, დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით 507,701 ათასი ლარი და შესაბამისი სამართლიანი შეფასების გავლენა, რომელიც აღიარებულია „დამატებით სრულად ანაზღაურებულ სააქციო კაპიტალში“ 478,426 ათასი ლარის ოდენობით, დაკონვერტირდა კომპანიის განთავსებულ კაპიტალში, ხოლო დარჩენილი ნაშთი 9,739 ათასი ლარი პირდაპირ აისახა დაგროვილ ზარალში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან. 2022 წლის 7 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებისა და მათი ცვლილებების მიხედვით, კომპანია გახდა სს თიბისი ბანკიდან და სს საქართველოს ბანკიდან კომპანიის ამჟამინდელი საბოლოო მფლობელის, ხვიჩა მაქაცარიას მიერ მიღებული სესხების თანამსესხებელი. სესხების მიზანი იყო შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI) 100% აქციების შესყიდვის დაფინანსება, რითიც მან ირიბად მოიპოვა კომპანიის 100% საკუთრების წილი. მიღებული სესხების მთლიანმა მოცულობამ 35,550 ათასი ლარი და 15,955 ათასი ევრო შეადგინა. ხელშეკრულებების თანახმად, შპს სელფი მობაილ არის თანამსესხებელი/სოლიდარული მოვალე, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე დამატებითი გამონაკლისებისა და პირობების გარეშე. ამრიგად, კომპანიას აქვს უპირობო პასუხისმგებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე.

16 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ბანკების უფლებები თანაბრად, შეუზღუდავად ვრცელდება მსესხებელსა და კომპანიაზე. შესაბამისად, სესხები კომპანიის მიერ იქნა აღიარებული კაპიტალში შესაბამისი ჩანაწერით („სხვა რეზერვები"). 2023 წლის ივლისში, მესაკუთრეთა სტრუქტურის რეორგანიზაციის შემდეგ (შენიშვნა 1), აღნიშნული სესხები ხვიჩა მაქაცარიასგან მთლიანად გადაეცა კომპანიის 100%-იან მესაკუთრეს, შპს Silk Road Group BV-ს, უცვლელი პირობით.

სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდში შემდგომ გაიზარდა საპროცენტო დარიცხვისა და სავალუტო წმინდა გავლენის მეშვეობით და შემცირდა დაფარვების მეშვეობით. ერთობლივი ნასესხები სახსრები მთლიანად დაიფარა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღარ აქვს ბანკებიდან ერთობლივი ნასესხები სახსრები.

სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდში შემდგომ გაიზარდა საპროცენტო დარიცხვისა და სავალუტო წმინდა გავლენის მეშვეობით და შემცირდა დაფარვების მეშვეობით. ერთობლივი ნასესხები სახსრები მთლიანად დაიფარა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღარ აქვს ბანკებიდან ერთობლივი ნასესხები სახსრები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს კომპანიის ნასესხები სახსრების და მათი ცვლილებების ანალიზს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ნასესხები სახსრები კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	ნასესხები სახსრები
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**667,795**
საპროცენტო ხარჯი	38,537
ძირითადი თანხის დაფარვა	(145,882)
პროცენტის დაფარვა	(280)
გადაცემა განთავსებულ კაპიტალში	(986,127)
მესაკუთრისგან ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულების შეფასების წმინდა გავლენა	478,426
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	136,869
ერთობლივი ნასესხები სახსრების დაფარვა*	(91,694)
სავალუტო კორექტირებები	(13,032)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**84,612**
საპროცენტო ხარჯი	11,306
ძირითადი თანხის დაფარვა	(2,539)
პროცენტის დაფარვა	(11,222)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**82,157**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი (მათ შორის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქციების 100%, რომლებიც ეკუთვნის შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI)) და აქტივები, რომლებსაც კომპანია შეიძენს მომავალში, დაგირავებულია მესამე მხარეებისთვის უზრუნველყოფის სახით ნასესხებ სახსრებთან დაკავშრებით.

17 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	10,863	9,577
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	13,785	16,194
სულ საიჯარო ვალდებულებები	**24,648**	**25,771**

კომპანიას აქვს ფიქსირებული საიჯარო გადასახადი ყველა სახის იჯარაზე. კომპანია ყველა სახის მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხელშეკრულებას აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებას და იჯარასთან დაკავშირებული არანაირი ხარჯი არ ხვდება საოპერაციო ხარჯებში. საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილმა თანხამ 2024 წელს შეადგინა 14,480 ათასი ლარი (2023: 13,063 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს კომპანიის საიჯარო ვალდებულებების ანალიზს და მათ მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. საიჯარო ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	საიჯარო ვალდებულება
საიჯარო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**24,226**
პროცენტის დარიცხვა	3,184
პროცენტის დაფარვა	(3,184)
ახალი იჯარის დამატება და ხელახალი შეფასება	11,477
ძირითადი თანხის გადახდა	(9,879)
სავალუტო შემოსულობა	(53)
საიჯარო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**25,771**
პროცენტის დარიცხვა	3,208
პროცენტის დაფარვა	(3,208)
ახალი იჯარის დამატება და ხელახალი შეფასება	9,940
ძირითადი თანხის გადახდა	(11,272)
სავალუტო ზარალი	209
საიჯარო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24,648**

18 ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის

მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის" და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის შეადგენდა 2,348 ათას ლარს (2023 წელს: 2,043 ათასი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებაში მოძრაობა:

	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**2,043**	**1,921**
დამატება ძირითად საშუალებებზე	39	20
ცვლილებები ძირითად საშუალებებთან მიმართებაში კორექტირებულ შეფასებებში	(9)	(156)
გამოყენება	(21)	(13)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	296	271
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,348**	**2,043**

19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები:		
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	15,597	13,701
- მომსახურებისთვის	8,217	8,532
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	6,189	6,205
- ურთიერთჩართვისთვის	718	902
- როუმინგისთვის	551	425
- მარაგებისთვის	-	14
სხვა	1,540	1,147
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**32,812**	**30,926**

ვალდებულებების თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

20 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

მომსახურებიდან ამონაგები მოიცავდა შემდეგს, 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2024	2023
ამონაგები პაკეტებიდან	113,243	91,419
ამონაგები წინასწარი გადახდის სისტემებიდან (pay-as-you-go)	30,930	31,335
ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან	7,293	14,211
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	7,251	7,390
სტუმრის როუმინგი	5,684	4,071
სხვა	5,329	5,252
სულ ამონაგები მომსახურებიდან	**169,730**	**153,678**

2014 წლიდან, სელფი მობაილი შეუერთდა ფასდაკლების პროგრამას, რომელსაც მართავდა მასთან იმ დროისთვის დაკავშირებული მხარე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო), რომლის თანახმადაც, კომპანია სთავაზობს ფასდაკლებებს როუმინგის მომსახურებაზე უცხოურ ოპერატორებს და ახდენს მის გამოქვითვას „სტუმრის როუმინგის“ ამონაგებიდან. ფასდაკლების ოდენობა განისაზღვრება საერთაშორისო როუმინგული ტრაფიკის გამოყენების საფუძველზე. 2024 წელს, კომპანიამ აღრიცხა 2,540 ათასი ლარის (2023 წელს: 3,709 ათასი ლარის) ფასდაკლება. სრული ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში.

21 მომსახურების ხარჯი

31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2024	2023
ურთიერთჩართვის ღირებულება	10,761	11,712
კონტენტის ღირებულება	3,110	4,071
როუმინგის ღირებულება	1,643	1,539
მონაცემთა მომსახურების ღირებულება	1,231	1,029
A2P შეტყობინებების ღირებულება	1,130	6,938
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	964	874
სხვა	14	34
სულ მომსახურების ღირებულება	**18,853**	**26,197**

22 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	5,630	3,677
პროფესიული მომსახურების საფასური*	3,204	3,005
მარეგულირებლის საფასური	1,275	1,144
სახელშეკრულებო ხარჯების ამორტიზაცია	1,135	1,051
ქონების გადასახადი	1,325	795
საგადასახადო ხარჯები მოგების გადასახადის გარდა	786	697
მივლინებები	367	224
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	171	183
დილერის საკომისიო	135	151
ბანკის მომსახურების საფასური	137	131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების დარიცხვა	49	1,920
სხვა	1,963	2,081
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	**16,177**	**15,059**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 703 ათას ლარს (2023: 513 ათასი ლარი) - ხარჯი, რომლის გაწევაც მოხდა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მიწოდებული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

23 ფინანსური ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	11,306	38,537
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,208	3,184
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი; დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	296	271
სხვა	8	-
სულ ფინანსური ხარჯები	**14,818**	**41,992**

24 ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	2,090	1,153
საიჯარო ვალდებულებების დროზე ადრე ანგარიშსწორებიდან მიღებული შემოსულობა	157	191
სულ ფინანსური შემოსავალი	**2,247**	**1,344**

25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად ითვლება, რომ მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	1	-

2024 წელს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მიყიდვები დაკავშირებული მხარეებისთვის	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან
უშუალო მშობელი კომპანია		
შპს Watertrail Industries	-	13
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	16	3,028

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	-	267

2023 წელს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მიყიდვები დაკავშირებული მხარეებისთვის	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან
უშუალო მშობელი კომპანია		
შპს Watertrail Industries	-	37,988
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	11	2,959

25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მთლიანი ანაზღაურება მმართველი ხელმძღვანელი პირებისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, ტექნიკური დირექტორის, იურიდული საკითხების დირექტორის, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის, პერსონალთან მუშაობისა და საორგანიზაციო საკითხთა დირექტორის, კომერციული დირექტორის (ყოფილი ბიზნეს დირექტორი), ეთიკისა და შესაბამისობის სამსახურის ხელმძღვანელის, მომხმარებელთა გამოცდილების დეპარტამენტის უფროსის (ყოფილი მომხმარებელთა გამოცდილების მენეჯერის) და საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის), რომელიც აღრიცხულია თანამშრომლების სარგებლის ხარჯებში, შეადგენდა 5,317 ათას ლარსა და 3,354 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ძირითადად შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და საქმიანობის შედეგების ბონუსისგან, რომელიც ეფუძნება საოპერაციო შედეგებს. გარდა ამისა, 2024 წელს, 1,400 ათასი ლარის ოდენობის ერთჯერადი ბონუსი გაიცა, როგორც ჯილდო, წამყვან გლობალურ სატელეკომუნიკაციო პროვაიდერთან, Vodafone-თან სტრატეგიული პარტნიორობის წარმატებით დასრულებისთვის, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში და რომელიც ანიჭებს Cellfie Mobile-ს უფლებას გამოიყენოს Vodafone ბრენდის სახელი და უზრუნველყოფს წვდომას Vodafone-ის ფართო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკაზე ციფრულ ინოვაციაში.

26 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები .კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- საიჯარო ვალდებულებები;
- სესხები და ნასესხები სახსრები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება სავაჭრო მოთხოვნებისა და საბანკო ნაშთების საკრედიტო რისკს. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. .

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

კომპანია ადგენს გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი ზარალის შეფასებას. ამ ანარიცხის ძირითადი კომპონენტია კოლექტიური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიქმნება ადგილობრივი საცალო და საბითუმო მომხმარებლებისგან. კომპანიას არ აქვს ამ მომხმარებლების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს კოლექტიურ საპორტფელო დონეზე (დაჯგუფებული დაქვემდებარებები, რომლებიც ეფუძნებიან საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით.

ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს:

- **დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ("EAD").** დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას.
- **ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD")** არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს, მათ შორის ურთიერთჩათვლის შეთახმებებიდან ან აღდგენებიდან. როგორც წესი, ის გამოხატულია, როგორც დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის პროცენტი.
- **დეფოლტის ალბათობა (PD)** არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში.
- **დისკონტირების განაკვეთი.** მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება მათ დღევანდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ან ფინანსური ინსტრუმენტისთვის სათანადო მიახლოების გამოყენებით

ხელმძღვანელობა ახდენს *12-თვიანი ECL-ის* მოდელირებას, რაც წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში,* თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით. ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ ცვლილებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის სავაჭრო მოთხოვნებისთვის. კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როდესაც ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი, ან მეტი იქნება დაკმაყოფილებული.

- მსესხებელს აქვს საკონტრაქტო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება

კომპანია ECL-ს პორტფელის საფუძველზე აფასებს. როდესაც შეფასება ხორციელდება პორტფელის საფუძველზე, კომპანია აანალიზებს მის დაქვემდებარებას საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით, ისე, რომ ჯგუფში არსებული ექსპოზიციები ერთგვაროვან ან მსგავს რისკებს შეიცავს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს"-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად პირვანდელი ღირებულებების კონვენციის მიხედვით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

ფასს-თან შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის, აგრეთვე, ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, გამოიყენოს განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, სადაც განსჯისა და კომპლექსურობის მაღალი დონეა ჩართული, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, განმარტებულია შენიშვნებში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია . კომპანიის ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ").

ოპერაციები და ნაშთები. ოპერაციები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია ქართულ ლარში ოპერაციის დღის გაცვლითი კურსის მიხედვით. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება დახურვის კურსის გამოყენებით, სხვაობებით, რომლებიც გადატანილია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში „ფინანსური შემოსავლების ან ხარჯების" ნაწილში. არაფულადი მუხლები, რომლებიც ფასდება უცხოურ ვალუტაში პირვანდელი ღირებულების მიხედვით, გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში საწყისი ოპერაციის თარიღებზე მოქმედი სავალუტო კურსით. რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ განსაზღვრული იყო: ამერიკული დოლარი 1=2.8068 ქართულ ლარს და ევრო 1=2.9306 ქართულ ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ამერიკული დოლარი 1=2.6894 ქართულ ლარს და ევრო 1=2.9753) ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამონაგების აღიარება: სელფი მობაილი ამონაგებს გამოიმუშავებს მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო მიწოდებიდან, მთელი რიგი უსადენო და ფართოზოლოვანი ქსელების გამოყენებით. პროდუქტები და მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე ან კრებულ პაკეტებად.

ამონაგები მომსახურებიდან

ამონაგები მომსახურებიდან მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (VAS) საფასურს. VAS მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

VAS-სთან დაკავშირებული კონტენტიდან ამონაგები წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, ამონაგების განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, ამონაგები ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

ამონაგები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის ამოღების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი ამონაგები გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (მოთხოვნების) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (მიღებული ავანსები) ნაშთების შემთხვევაში უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

წინასწარი გადახდის სისტემა *(PAYG)*

გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების სატარიფო გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, ამონაგები ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

ამონაგები ურთიერთჩართვიდან და როუმინგიდან

ურთიერთჩართვიდან ამონაგების გამომუშავება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „სელფი მობაილის“ ქსელში სრულდება.

როუმინგიდან ამონაგები მოიცავს, როგორც „სელფი მობაილის“ მომხმარებლებისგან ამონაგებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე „სელფი მობაილის“ ქსელში ჩართული სხვა ქვეყნის მობილური ქსელის ოპერატორების მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის მიღებულ ამონაგებს. ორივე სახის ამონაგების შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში შესაბამისი მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტრაფიკის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მობილური ოპერატორებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარის განხორციელება.

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან გულისხმობს ამონაგებს სხვა ქსელის ოპერატორების აბონენტებისგან წარმოშობილი ბიზნეს შეტყობინებების მიღებიდან, მიუხედავად იმისა დასრულდება თუ არა სელფი მობაილის ქსელში, თუ გადაიცემა შემდეგში. ამონაგების ეს ნაკადი ასევე მოიცავს შემოსავალს, რომელიც მიიღება იმ კომერციული საწარმოებისგან, რომლებიც იყენებენ სელფი მობაილის ქსელს ასეთი ბიზნეს შეტყობინებების გავრცელებისთვის.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

A2P მოკლე ტექსტური შეტყობინებები წარმოადგენს ისეთ შეტყობინებას, რომელზეც პასუხი მიმღებისგან არ არის სავალდებულო და გამოიყენება ბიზნესის მიერ მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის. ამონაგების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

პაკეტები

პაკეტები არის მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც სელფი მობაილ გთავაზობთ ერთ ან ერთზე მეტ მომსახურებას.

მომსახურებები შეიძლება იყოს მიწოდებული ან „პაკეტებად შეკრული“ სხვადასხვა ხელშეკრულებში ან ხელშეკრულებების ჯგუფებში, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია ისე, რომ, არსებითად, ისინი ერთი შეთანხმების ნაწილია.

პაკეტებში შემავალი მომსახურეები წარმოადგენს შესრულების ვალდებულებებს, რომლებიც სრულდება დროთა განმავლობაში და იგივე მეთოდი გამოიყენება კომპანიის შესრულების პროგრესის შესაფასებლად, შესაბამისად, პაკეტები აღირიცხება, როგორც შესრულების ერთი ვალდებულება. ამ ვალდებულებების შესრულების მაქსიმალური ვადა, ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, არის 90 დღე.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდებში შენატანების, ანაზღაურებადი შვებულების და ბიულეტენის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (როგორიცაა, მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება) დარიცხვა ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან სხვა მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდა, გარდა კანონით განსაზღვრული გადახდის სქემისა.

მომხმარებლის შეძენის ხარჯები. გარკვეული ხარჯები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახალ ან არსებულ მომხმარებელთან ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები ბუღალტრულ ბალანსში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად საჭიროა დამატებითი ხარჯების გაწევა;
- დამატებითი ხარჯები ანაზღაურდება;
- გაწეული ხარჯები დამატებით ღირებულებას წარმოადგენს სელფი მობაილისთვის

ყველა ის ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, ხარჯად აისახება მათი გაწევისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ 5 წლიდან 10 წლამდე პერიოდით გადავადდება იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე ბრუნვა აქვთ. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება გარიგების მთლიანი (ბრუტო) თანხით, მათ შორის დღგ-თი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	6-20 წელი
საოფისე მოწყობილობები	6-10 წელი
ავეჯი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	3-10 წელი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს მიწას, ოფისებს მაღაზიებისთვის, ოფისის შენობას და სხვა ტერიტორიებს სადაც განთავსებულია ქსელის აღჭურვილობა და ავტომობილებს. იჯარის ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ იჯარის კომპონენტს და თითოეული სივრცის იჯარა აღირიცხება როგორც ერთი იჯარის კომპონენტი.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღამდე, შემცირებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყველა თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა დაერიცხება წრფივი მეთოდით (ვადის გაგრძელების გათვალისწინებით), იჯარის ვადის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულია იჯარის გამოვლენილი კატეგორიები, რომლებიც გამოყენებული შეიძლება იქნეს სელფი მობაილისთვის, ასევე გონივრულად სარწმუნო იჯარის ვადასთან ერთად, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მაღაზიები	3 წელი
ტერიტორიები საბაზო სადგურებისთვის	5-8 წელი
საწყობები	5 წელი
ოფისები	3-7 წელი
ავტომობილები	4 წელი

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	10-15 წელი
პროგრამული უზრუნველყოფა	3-10 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	1-8 წელი

აქტივების გაუფასურება. კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის, გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება, რომელიც მეხუთე წლის შემდეგ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოიყენება. უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯის კატეგორიებში.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივების კლასიფიკაციას ამორტიზირებული ღირებულებით ახორციელებს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ყველა ფინანსური აქტივი კავდება აქტივებისგან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნებისა და ფასს 15-ის საფუძველზე ამონაგების ნაწილად აღიარებული სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია გასული 12 თვის განმავლობაში გაყიდვების საგადასახადო პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალზე.

ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციის ასახვის მიზნით. კომპანია აანალიზებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, ამასთან, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს არ აქვთ არსებითი შედეგი და, შესაბამისად, კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას თავის სტანდარტულ განაკვეთებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სეგმენტებს იყენებს:

- მომხმარებლებისგან მისაღები მოთხოვნები
- მოთხოვნები როუმინგისა და ურთიერთჩართვისთვის
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე ნასესხებ სახსრებსა და საიჯარო ვალდებულებებს და კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

მშობელი კომპანიებისგან ნასესხები სახსრები

დროდადრო მშობელი კომპანიები გასცემენ სესხებს და ნასესხებ სახსრებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალგანაკვეთიანი სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც არის მომავალში დასაფარი თანხების დღევანდელი ღირებულება, სესხის მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის მიერ სესხად მიღებულ ანაზღაურებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა განიხილება, როგორც მშობელი კომპანიის მიერ კაპიტალში შენატანი, და აღირიცხება, როგორც დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს სესხები და ნასესხები სახსრები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების და ნასესხები სახსრების პირობებში (საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის თარიღები და ა.შ.) შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, შეფასებაში ცვლილებებად განიხილება და პერსპექტიულად აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი ცვლილება. გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი შედის ფინანსურ ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას. ვადის გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის ოფციონის შემდეგი პერიოდი) შეყვანილია საიჯარო პირობებში მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც „საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს მსგავსი ვადით და უზრუნველყოფით სესხის აღებისთვის, თანხები, რომლებიც აუცილებელია მსგავს ეკონომიკურ გარემოში, აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად“.

2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობს იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი.

საიჯარო გადახდები განაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და სხვა განმარტებითი ინფორმაცია (გაგრძელება)

სადეპოზიტო სერთიფიკატები. სადეპოზიტო სერთიფიკატი (CD) არის საინვესტიციო ინსტრუმენტი დეპოზიტის სახით, რომელიც განთავსებულია ბანკში, ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტში. მას, როგორც წესი, აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, საწყისი ვადა სამ თვეზე მეტია და დაფარვას ექვემდებარება ვადის გასვლისას, დარიცხულ პროცენტთან ერთად. სადეპოზიტო სერთიფიკატები დაბალი რისკის მქონე ინვესტიციებად ითვლება, რადგან მათ, როგორც წესი, უზრუნველყოფს გამომშვები ინსტიტუტის კრედიტუნარიანობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

განთავსებული კაპიტალი. განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები განთავსებულ კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები. როდესაც არსებობს ცვლილებები არსებული აქტივის ხმარებიდან ამოღების ვალდებულების შეფასებაში, შეფასებული დროის ცვლილებების ან რესურსების გადინების ოდენობის გამო, რომლებიც მოიცავს ვალდებულების დასაფარად საჭირო ეკონომიკურ სარგებელს, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილებას, დაკავშირებული აქტივის ღირებულება კორექტირდება, თუ დაკავშირებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ან გადაფასების ნამეტი კორექტირდება, თუ აქტივი შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე მუხლის დემონტაჟისა და ამოღების შეფასებული ხარჯები (აქტივის ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები) ემატება მუხლის ღირებულებას მისი შეძენისას ან შეძენის შემდეგ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის გარდა სხვა მიზნებისთვის, ნივთის გამოყენების დროს.

გამოცემის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოცემის შემდეგ, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც გამოსაცემად დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია ის განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვებისა და პერიოდული გამოწერებიდან მიღებული ამონაგებისგან. კომპანია აბონენტებს სთავაზობს, მრავალელემენტიანი გარიგებებით („პაკეტები“) ან სხვაგვარად, რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა სატარიფო გეგმით; ასევე, სთავაზობს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ფასდაკლებებს, ხშირად სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ან კლიენტებთან ურთიერთობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. თითოეული მისაწოდებელი მომსახურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება კომპლექსური შეფასებები იყოს საჭირო, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ასევე ყიდის საბითუმო მომსახურებას სხვა ოპერატორებსა და შემსყიდველებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს მიღმა. ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს შეფასებები ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც გარკვეულწილად დაეყრდნობა სხვა ოპერატორებისგან მიღებულ ინფორმაციას მიწოდებული მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს შეფასებებს საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა მხარეები სადავოს ხდიან გადასახდელ თანხებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა იმ პერიოდის გამოსათვლელად, რომელ პერიოდშიც უნდა აღიაროს შემოსავალი. ეს შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში (მუდამ მზად ყოფნის ვალდებულება) ან ხელშეკრულების განახლების სერიული ან არსებითი უფლებების შემთხვევაში (მაგ., თვიდან თვემდე ხელშეკრულებები). სელფი მობაილის მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადის განსაზღვრის პოლიტიკა შემდეგ ფორმულას ეხება:

მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადა = 1 ÷ აბონენტების დენადობა

ხელმძღვანელობა ასევე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ოპერაციებში კომპანია მოქმედებს მთავარი პირის თუ წარმომადგენლის სახით. ასეთ შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, მთავარი ფაქტორი ის არის, თუ რამდენად ითვლება კომპანია ოპერაციებში მთავარ მოვალედ.

გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ნარჩენი ღირებულების, და ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდის შეფასებებს. შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიური განვითარების, კონკურენციის, საბაზრო პირობების ცვლილებისა და სხვა ფაქტორების გამო, და შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადებში და ამორტიზაციის ან ცვეთის დარიცხულ ოდენობაში. რთულია ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზირება, ხოლო ჩვენი შეხედულებები ტენდენციებსა და განვითარების ტემპზე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა რომ განსხვავდებოდეს 10%-ით ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთა და ამორტიზაციაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გავლენა იქნება მათი გაზრდა 3,425 ათასი ლარით ან შემცირება 2,802 ათასი ლარით (2023: ზრდა 2,534 ათასი ლარით ან შემცირება 2,074 ათასი ლარით).

ზოგიერთი აქტივები და ტექნოლოგიები, რომლებშიც კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ გამოიყენება და საფუძვლად უდევს ახალ ტექნოლოგიებს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურები ვადის კრიტიკული სავარაუდო შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სავარაუდო საშუალო მომხმარებელთან ურთიერთობის დენადობის საფუძველზე, დარჩენილი ლიცენზიით ან საკონცესიო პერიოდით და ტექნოლოგიების და ბაზრების მოსალოდნელი განვითარებით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება მინიმუმ ყოველწლიურად, ზემოთ აღნიშნული და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით. მსგავსი ტიპის აქტივებისთვის, სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის სხვადასხვა საწარმოების მიხედვით, ადგილობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა ზრდის ტემპი, ბაზრის მზაობა, აქტივების ჩანაცვლების ან გადაცემის ისტორია და მოლოდინები, გამოყენებული კომპონენტების ხასიათი და ხარისხი. არამატერიალური აქტივების ფაქტობრივი საექსპლუატაციო ეკონომიური ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადისგან და ამით იწვევდეს არამატერიალური აქტივების განსხვავებულ საბალანსო ღირებულებას შეზღუდული ექსპლუატაციის ვადით.

ჩვენ ვაგრძელებთ სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის შეფასებას, რათა განვსაზღვროთ, თუ რამდენად იძლევა მოვლენები თუ გარემოებები მოდიფიცირებული ამორტიზაციის პერიოდების გარანტიას. ცვლილება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, და შესაბამისად ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების კორექტირებაც.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 26-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვს არსებითი გავლენა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე. შესაბამისად კომპანია არ იყენებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის გავლენას ისტორიული ზარალის განაკვეთის კორექტირებისათვის.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდები) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ასეთ შემთხვევებში, როდესაც იჯარის ვადის გაგრძელება სამართლებრივად აღსრულებადია, კომპანიამ განსაზღვრა აქტივების კატეგორიები და განსაზღვრა გონივრულად სარწმუნო იჯარის პირობები.

გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელოვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება პირდაპირ განისაზღვროს. 2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობენ, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი.

6 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- ***შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***

- ***ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.)***

- ***ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).***

ამ შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს, ან შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

- ***შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***
- ***ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***
- ***ფასს-ის საარღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).***
- ***ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).***
- ***ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)***
- ***ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).***

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობები	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	CIP*	სულ
ღირებულება									
2023 წლის 1 იანვარს	**1,161**	**8,229**	**269,059**	**44,288**	**690**	**781**	**47,289**	**14,860**	**386,357**
დამატება	-	682	5,879	1,010	31	-	445	30,836	**38,883**
გასვლები	-	-	(14,759)	(1,620)	-	(81)	(128)	(562)	**(17,150)**
ტრანსფერები	-	-	10,183	-	-	-	-	(10,183)	**-**
ცვლილება ARO შეფასებებში	-	-	16	-	-	-	-	-	**16**
2023 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**8,911**	**270,378**	**43,678**	**721**	**700**	**47,606**	**34,951**	**408,106**
დამატება	74	586	20,974	333	68	-	227	24,756	**47,018**
გასვლები	-	-	(35,766)	(1,928)	-	(146)	(772)	(121)	**(38,733)**
ტრანსფერები	-	-	28,445	-	-	-	-	(28,445)	**-**
ცვლილება ARO შეფასებებში	-	-	38	-	-	-	-	-	**38**
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**9,497**	**284,069**	**42,083**	**789**	**554**	**47,061**	**31,141**	**416,429**
ცვეთა და გაუფასურება									
2023 წლის 1 იანვარს	**-**	**4,150**	**208,407**	**36,338**	**471**	**722**	**45,830**	**3,929**	**299,847**
ცვეთის ხარჯი	-	483	15,420	2,161	47	31	412	-	**18,554**
გასვლები	-	-	(14,759)	(1,551)	-	(81)	(128)	-	**(16,519)**
გაუფასურების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	147	**147**
2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**4,633**	**209,068**	**36,948**	**518**	**672**	**46,114**	**4,076**	**302,029**
ცვეთის ხარჯი	-	597	23,231	2,001	53	27	594	-	**26,503**
გასვლები	-	-	(35,442)	(1,919)	-	(146)	(771)	(121)	**(38,399)**
გაუფასურების აღდგენა	-	-	-	-	-	-	-	(839)	**(839)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**5,230**	**196,857**	**37,030**	**571**	**553**	**45,937**	**3,116**	**289,294**
საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 1 იანვარს	1,161	4,079	60,652	7,950	219	59	1,459	10,931	86,510
2023 წლის 31 დეკემბერს	1,161	4,278	61,310	6,730	203	28	1,492	30,875	106,077
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**4,267**	**87,212**	**5,053**	**218**	**1**	**1,124**	**28,025**	**127,135**

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი დანადგარები.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს საბაზო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ძირითადი საშუალებების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ, რომლებიც სრულად გაცვეთილია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგინა დაახლოებით 149,561 ათასი ლარი (2023 წელს: 159,448 ათასი ლარი).

გაუფასურების შეფასება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ინდიკატორების შეფასება, რომლის მიხედვითაც გაუფასურების ინდიკატორები არ გამოვლენილა. 839 ათასი ლარის გაუფასურების აღდგენა (2023 წელი: 147 ათასი ლარის გაუფასურების ხარჯი) ეხება დაუმონტაჟებელ, მოძველებულ ქსელურ აღჭურვილობას, დაუმთავრებელ მშენებლობას და სათადარიგო ნაწილებს.

9 აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარით იღებს ფართებს საბაზო სადგურებისთვის, მაღაზიებისთვის და ოფისისთვის. ქირავნობის კონტრაქტებს, როგორც წესი, აქვთ ფიქსირებული ხანგრძლივობა 1 წლიდან 5 წლამდე.

	ტერიტორია საბაზო სადგურისთვის	მაღაზიები და ოფისები	ავტომობილები	საწყობი
ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**19,440**	**4,022**	**281**	**23,743**
დამატება	5,748	1,054	657	**7,459**
გადაფასება და მოდიფიკაცია	3,480	730	-	**4,210**
ცვეთის დარიცხვა	(8,136)	(2,367)	(220)	**(10,723)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**20,532**	**3,439**	**718**	**24,689**
დამატება	3,216	752	356	**4,324**
გადაფასება და მოდიფიკაცია	3,324	1,412	38	**4,774**
ცვეთის დარიცხვა	(8,509)	(2,408)	(357)	**(11,274)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,563**	**3,195**	**755**	**22,513**

10 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნი-კაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერი-ალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**119,056**	**18,766**	**159**	**137,981**
დამატება	4,332	3,532	416	**8,280**
გასვლა / ჩამოწერა	(513)	(1,180)	(268)	**(1,961)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**122,875**	**21,118**	**307**	**144,300**
დამატება	676	8,212	-	**8,888**
გასვლა / ჩამოწერა	(132)	-	-	**(132)**
2024 წლის 31 დეკემბერს	**123,419**	**29,330**	**307**	**153,056**
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2023 წლის 1 იანვარს	**115,502**	**13,976**	**133**	**129,611**
ამორტიზაციის დარიცხვა	1,074	3,183	-	**4,257**
გასვლა / ჩამოწერა	(513)	(1,180)	(15)	**(1,708)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**116,063**	**15,979**	**118**	**132,160**
ამორტიზაციის დარიცხვა	1,336	2,979	3	4,318
გასვლა / ჩამოწერა	(132)	-	-	(132)
2024 წლის 31 დეკემბერს	**117,267**	**18,958**	**121**	**136,346**
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	3,554	4,790	26	8,370
2023 წლის 31 დეკემბერს	6,812	5,139	189	12,140
2024 წლის 31 დეკემბერს	**6,151**	**10,372**	**186**	**16,710**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნების ანგარიშები:		
- მომხმარებლებისგან	1,254	1,627
- ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	718	2,039
- როუმინგის პარტნიორებისგან	5,333	6,281
- ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	1,295	2,051
სხვა	859	886
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(2,822)	(3,282)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**6,637**	**9,602**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში, მხოლოდ ფეი-ბოქსის ოპერატორების მოთხოვნებს გააჩნიათ დაახლოებით 3-5 დღიანი ვადა.

6,423 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2023 წელს: 8,506 თასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, აქედან 5,926 ათასი ლარი (2023 წელს: 8,164 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 497 ათასი ლარი (2023 წელს: 342 ათასი ლარი) - ევროში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ერთიდაიგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია 2024 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვის განმავლობაში გაყიდვების გადახდის პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორს. თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვთ არსებითი გავლენა მომხმარებლების მიერ მოთხოვნების გადახდის უნარზე, ამიტომ კომპანია არ იყენებს ამგვარ საპროგნოზო კორექტირებას მისი ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხების მატრიცის შესაბამისად. ანარიცხების მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით.

	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მიმდინარე	0%	2,160	-	2,160	0%	6,114	-	6,114
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0%	898	-	898	0%	405	-	405
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	15%	481	70	411	33%	565	187	378
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	19%	612	119	493	36%	192	70	122
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	47%	4,449	2,108	2,341	49%	4,722	2,337	2,385
სულ	**27%**	**8,600**	**2,297**	**6,303**	**22%**	**11,998**	**2,594**	**9,404**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სხვა მოთხოვნები								
- მიმდინარე	0%	141	-	141	0%	142	-	142
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0%	185	-	185	0%	38	-	38
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	7	-	7	0%	15	-	15
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	1	-	1	0%	3	-	3
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	100%	525	525	0	100%	688	688	-
სულ	**61%**	**859**	**525**	**334**	**78%**	**886**	**688**	**198**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხებში ცვლილებები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მოდელის საფუძველზე, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის პერიოდში:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვრის მდგომარეობით	**(3,282)**	**(3,971)**
ECL ანარიცხების აღდგენა /(ახალი წარმოქმნილი ან შეძენილი)	(49)	(1,920)
ცვლილებები დაშვებებსა და შეფასებებში	-	-
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღდგენა/(დარიცხვა) მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში	**(49)**	**(1,920)**
ჩამოწერები	509	2,609
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,822)**	**(3,282)**

12 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,116	2,997
საკონტრაქტო ხარჯები	2,585	2,361
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	4,938	1,998
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები	**9,639**	**7,356**
ავანსად გადახდილი დღგ IRU შეთანხმებებზე	2,820	2,880
ძირითადი საშუალებებისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	144	377
სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	**2,964**	**3,257**

სხვა არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	2,438	2,106
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	5,055	3,279
გადავადებული შემოსავალი	4,706	3,517
სხვა	10	-
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**12,209**	**8,902**

13 სადეპოზიტო სერტიფიკატები

სადეპოზიტო სერთიფიკატები წარმოადგენს პროცენტიან, ფიქსირებული განაკვეთის მქონე მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც გასცემს ადგილობრივი ბანკი BB საკრედიტო რეიტინგით. ამ ინსტრუმენტების დაფარვის ვადა არის გამოშვებიდან ექვსი თვის განმავლობაში და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები. ისინი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან კომპანია მათ ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, რომელიც შედგება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებისგან. კომპანიის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე დარიცხული პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 85 ათას ლარს.

14 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგებოდა შემდეგი მუხლებისგან:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	14,781	20,156
კორპორაციული საკრედიტო ბარათები	90	36
ფულადი სახსრები სალაროში	11	16
ფულადი სახსრები გზაში	1	2
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**14,883**	**20,210**

საბანკო ნაშთები და ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს სამ წამყვან ადგილობრივ, BB და B+ რეიტინგის მქონე ბანკებში პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს (2023: BB და B+ რეიტინგის მქონე), რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 2,005 ათასი ლარი (2023: 1,153 ათასი ლარი).

15 კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი. კომპანიის ჯამური განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 986,129 ათას ლარს, რომელიც შედგება 986,129 ათასი განთავსებული წილისგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებით - 1 ლარი.

2023 წლის დეკემბერში მესაკუთრის სესხი 986,127 ათასი ლარის ოდენობით მთლიანად დაკონვერტირდა კომპანიის განთავსებულ კაპიტალში (შენიშვნა 16) მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამრიგად, კომპანიის ჯამური განთავსებული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 986,129 ათას ლარს.

დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. დამატებითი, სრულად ანაზღაურებული კაპიტალი უკავშირდება უშუალო მშობელი კომპანიისგან, შპს Watertrail Industries (BVI) მიღებული ნასესხები სახსრების სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი ნული ტოლია ნასესხები სახსრების კაპიტალში კონვერტაციის გამო (იხილეთ მე-16 შენიშვნა).

სხვა რეზერვები. 2023 წლის განმავლობაში, სხვა რეზერვები - კომპანიის მიერ აღიარებული ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან, შესაბამისი ჩანაწერით კაპიტალში - გაიზარდა 9,902 ათასი ლარით პროცენტის დარიცხვის და სავალუტო ეფექტის გამო, აგრეთვე შემცირდა 91,694 ათასი ლარით, დაფარვის შედეგად.

მესაკუთრისადმი ვალდებულების პატიება. 2023 წლის დეკემბერში, შპს Watertrail Industries-ის (BVI) გადაწყვეტილებით, კომპანიის ვალდებულების ნაშთი უშუალო მშობელი კომპანიის მიმართ 6,243 ათასი აშშ დოლარის (16,659 ათასი ლარი) ოდენობით პატიებული იქნა. ოპერაცია განიხილება, როგორც უშუალოდ დაგროვილი ზარალის კორექტირება.

16 ნასესხები სახსრები

ბანკებიდან ნასესხები სახსრები. 2023 წლის 7 დეკემბერს ხელმოწერილი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებისა და მათში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კომპანიას აქვს ორი სინდიცირებული საკრედიტო ხაზი სს თიბისი ბანკთან და სს საქართველოს ბანკთან რომლებიც დენომინირებულია ქართულ ლარში ლიმიტით 32,211 ათასი ლარი. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 29).

ობლიგაციები. 2023 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა 65,000 ათასი ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაციები. ობლიგაციებს გააჩნიათ მცოცავი განაკვეთის კუპონი TIBR6M+3.5%. ობლიგაციები დაფარვას ექვემდებარება გამოცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში, 2026 წლის 27 დეკემბერს, ნახევარწლიური პროცენტის გადახდებით.

ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით კომპანიამ გაწია ანდერრაიტინგის საფასურის ხარჯები. ეს ხარჯები აღირიცხება, როგორც ოპერაციის ხარჯები და შეყვანილია ობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში. ეს ხარჯები გადავადებულია ობლიგაციების არსებობის მანძილზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრე-დიტო ლიმიტი (თავდა-პირველ ვალუტა-ში)	ათვისებუ-ლი თანხა (თავდა-პირველ ვალუტაში)	ნომი-ნალური საპროცენ-ტო განაკვეთი	ვალუ-ტა	დაფარვის ვადა	2024 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	13.00%	₾	7-ივნ-29	7,204
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	13.00%	₾	7-ივნ-29	7,201
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	64,448
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**78,853**
მოკლევადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	13.00%	₾	7-ივნ-29	1,599
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	13.00%	₾	7-ივნ-29	1,600
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	105
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**3,304**
სულ ნასესხები სახსრები							**82,157**

16 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი მუხლებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრე-დიტო ლიმიტი (თავდა-პირველ ვალუტა-ში)	ათვისებუ-ლი თანხა (თავდა-პირველ ვალუტაში)	ნომი-ნალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუ-ტა	დაფარვის ვადა	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	₾	7-ივნ-29	8,747
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	₾	7-ივნ-29	8,742
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	64,220
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**81,709**
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	₾	7-ივნ-29	1,387
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	₾	7-ივნ-29	1,394
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	₾	27-დეკ-26	122
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**2,903**
სულ ნასესხები სახსრები							**84,612**

(*) პლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი
(**)პლუს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული tibR6M

მესაკუთრისგან მიღებული სესხები. 2023 წლის დეკემბერში მესაკუთრის 986,127 ათასი ლარის (ნომინალური თანხა) სესხი მთლიანად დაკონვერტირდა (შენატანი) კომპანიის განთავსებულ კაპიტალში მესაკუთრის გადაწყვეტილების შედეგად (შენიშვნა 15). შედეგად, დაუფარავი ნასესხები სახსრების ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით 507,701 ათასი ლარი და შესაბამისი სამართლიანი შეფასების გავლენა, რომელიც აღიარებულია „დამატებით სრულად ანაზღაურებულ სააქციო კაპიტალში“ 478,426 ათასი ლარის ოდენობით, დაკონვერტირდა კომპანიის განთავსებულ კაპიტალში, ხოლო დარჩენილი ნაშთი 9,739 ათასი ლარი პირდაპირ აისახა დაგროვილ ზარალში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან. 2022 წლის 7 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებისა და მათი ცვლილებების მიხედვით, კომპანია გახდა სს თიბისი ბანკიდან და სს საქართველოს ბანკიდან კომპანიის ამჟამინდელი საბოლოო მფლობელის, ხვიჩა მაქაცარიას მიერ მიღებული სესხების თანამსესხებელი. სესხების მიზანი იყო შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI) 100% აქციების შესყიდვის დაფინანსება, რითიც მან ირიბად მოიპოვა კომპანიის 100% საკუთრების წილი. მიღებული სესხების მთლიანმა მოცულობამ 35,550 ათასი ლარი და 15,955 ათასი ევრო შეადგინა. ხელშეკრულებების თანახმად, შპს სელფი მობაილ არის თანამსესხებელი/სოლიდარული მოვალე, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე დამატებითი გამონაკლისებისა და პირობების გარეშე. ამრიგად, კომპანიას აქვს უპირობო პასუხისმგებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე.

16 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ბანკების უფლებები თანაბრად, შეუზღუდავად ვრცელდება მსესხებელსა და კომპანიაზე. შესაბამისად, სესხები კომპანიის მიერ იქნა აღიარებული კაპიტალში შესაბამისი ჩანაწერით („სხვა რეზერვები"). 2023 წლის ივლისში, მესაკუთრეთა სტრუქტურის რეორგანიზაციის შემდეგ (შენიშვნა 1), აღნიშნული სესხები ხვიჩა მაქაცარიასგან მთლიანად გადაეცა კომპანიის 100%-იან მესაკუთრეს, შპს Silk Road Group BV-ს, უცვლელი პირობით.

სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდში შემდგომ გაიზარდა საპროცენტო დარიცხვისა და სავალუტო წმინდა გავლენის მეშვეობით და შემცირდა დაფარვების მეშვეობით. ერთობლივი ნასესხები სახსრები მთლიანად დაიფარა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღარ აქვს ბანკებიდან ერთობლივი ნასესხები სახსრები.

სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდში შემდგომ გაიზარდა საპროცენტო დარიცხვისა და სავალუტო წმინდა გავლენის მეშვეობით და შემცირდა დაფარვების მეშვეობით. ერთობლივი ნასესხები სახსრები მთლიანად დაიფარა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღარ აქვს ბანკებიდან ერთობლივი ნასესხები სახსრები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს კომპანიის ნასესხები სახსრების და მათი ცვლილებების ანალიზს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ნასესხები სახსრები კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	ნასესხები სახსრები
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**667,795**
საპროცენტო ხარჯი	38,537
ძირითადი თანხის დაფარვა	(145,882)
პროცენტის დაფარვა	(280)
გადაცემა განთავსებულ კაპიტალში	(986,127)
მესაკუთრისგან ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულების შეფასების წმინდა გავლენა	478,426
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	136,869
ერთობლივი ნასესხები სახსრების დაფარვა*	(91,694)
სავალუტო კორექტირებები	(13,032)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**84,612**
საპროცენტო ხარჯი	11,306
ძირითადი თანხის დაფარვა	(2,539)
პროცენტის დაფარვა	(11,222)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**82,157**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი (მათ შორის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქციების 100%, რომლებიც ეკუთვნის შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI)) და აქტივები, რომლებსაც კომპანია შეიძენს მომავალში, დაგირავებულია მესამე მხარეებისთვის უზრუნველყოფის სახით ნასესხებ სახსრებთან დაკავშრებით.

17 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	10,863	9,577
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	13,785	16,194
სულ საიჯარო ვალდებულებები	**24,648**	**25,771**

კომპანიას აქვს ფიქსირებული საიჯარო გადასახადი ყველა სახის იჯარაზე. კომპანია ყველა სახის მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხელშეკრულებას აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებას და იჯარასთან დაკავშირებული არანაირი ხარჯი არ ხვდება საოპერაციო ხარჯებში. საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილმა თანხამ 2024 წელს შეადგინა 14,480 ათასი ლარი (2023: 13,063 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს კომპანიის საიჯარო ვალდებულებების ანალიზს და მათ მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. საიჯარო ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	საიჯარო ვალდებულება
საიჯარო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**24,226**
პროცენტის დარიცხვა	3,184
პროცენტის დაფარვა	(3,184)
ახალი იჯარის დამატება და ხელახალი შეფასება	11,477
ძირითადი თანხის გადახდა	(9,879)
სავალუტო შემოსულობა	(53)
საიჯარო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**25,771**
პროცენტის დარიცხვა	3,208
პროცენტის დაფარვა	(3,208)
ახალი იჯარის დამატება და ხელახალი შეფასება	9,940
ძირითადი თანხის გადახდა	(11,272)
სავალუტო ზარალი	209
საიჯარო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24,648**

18 ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის

მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულებისთვის შეადგენდა 2,348 ათას ლარს (2023 წელს: 2,043 ათასი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებაში მოძრაობა:

	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**2,043**	**1,921**
დამატება ძირითად საშუალებებზე	39	20
ცვლილებები ძირითად საშუალებებთან მიმართებაში	(9)	(156)
კორექტირებულ შეფასებებში		
გამოყენება	(21)	(13)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	296	271
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,348**	**2,043**

19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები:		
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	15,597	13,701
- მომსახურებისთვის	8,217	8,532
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	6,189	6,205
- ურთიერთჩართვისთვის	718	902
- როუმინგისთვის	551	425
- მარაგებისთვის	-	14
სხვა	1,540	1,147
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**32,812**	**30,926**

ვალდებულებების თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

20 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

მომსახურებიდან ამონაგები მოიცავდა შემდეგს, 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2024	2023
ამონაგები პაკეტებიდან	113,243	91,419
ამონაგები წინასწარი გადახდის სისტემებიდან (pay-as-you-go)	30,930	31,335
ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან	7,293	14,211
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	7,251	7,390
სტუმრის როუმინგი	5,684	4,071
სხვა	5,329	5,252
სულ ამონაგები მომსახურებიდან	**169,730**	**153,678**

2014 წლიდან, სელფი მობაილი შეუერთდა ფასდაკლების პროგრამას, რომელსაც მართავდა მასთან იმ დროისთვის დაკავშირებული მხარე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო), რომლის თანახმადაც, კომპანია სთავაზობს ფასდაკლებებს როუმინგის მომსახურებაზე უცხოურ ოპერატორებს და ახდენს მის გამოქვითვას „სტუმრის როუმინგის“ ამონაგებიდან. ფასდაკლების ოდენობა განისაზღვრება საერთაშორისო როუმინგული ტრაფიკის გამოყენების საფუძველზე. 2024 წელს, კომპანიამ აღრიცხა 2,540 ათასი ლარის (2023 წელს: 3,709 ათასი ლარის) ფასდაკლება. სრული ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში.

21 მომსახურების ხარჯი

31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2024	2023
ურთიერთჩართვის ღირებულება	10,761	11,712
კონტენტის ღირებულება	3,110	4,071
როუმინგის ღირებულება	1,643	1,539
მონაცემთა მომსახურების ღირებულება	1,231	1,029
A2P შეტყობინებების ღირებულება	1,130	6,938
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	964	874
სხვა	14	34
სულ მომსახურების ღირებულება	**18,853**	**26,197**

22 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	5,630	3,677
პროფესიული მომსახურების საფასური*	3,204	3,005
მარეგულირებლის საფასური	1,275	1,144
სახელშეკრულებო ხარჯების ამორტიზაცია	1,135	1,051
ქონების გადასახადი	1,325	795
საგადასახადო ხარჯები მოგების გადასახადის გარდა	786	697
მივლინებები	367	224
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	171	183
დილერის საკომისიო	135	151
ბანკის მომსახურების საფასური	137	131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების დარიცხვა	49	1,920
სხვა	1,963	2,081
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	**16,177**	**15,059**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 703 ათას ლარს (2023: 513 ათასი ლარი) - ხარჯი, რომლის გაწევაც მოხდა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მიწოდებული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

23 ფინანსური ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	11,306	38,537
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,208	3,184
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი; დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	296	271
სხვა	8	-
სულ ფინანსური ხარჯები	**14,818**	**41,992**

24 ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	2,090	1,153
საიჯარო ვალდებულებების დროზე ადრე ანგარიშსწორებიდან მიღებული შემოსულობა	157	191
სულ ფინანსური შემოსავალი	**2,247**	**1,344**

25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად ითვლება, რომ მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	1	-

2024 წელს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მიყიდვები დაკავშირებული მხარეებისთვის	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან
უშუალო მშობელი კომპანია		
შპს Watertrail Industries	-	13
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	16	3,028

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	-	267

2023 წელს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	მიყიდვები დაკავშირებული მხარეებისთვის	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან
უშუალო მშობელი კომპანია		
შპს Watertrail Industries	-	37,988
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
სხვა კომპანიები	11	2,959

25 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მთლიანი ანაზღაურება მმართველი ხელმძღვანელი პირებისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, ტექნიკური დირექტორის, იურიდული საკითხების დირექტორის, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის, პერსონალთან მუშაობისა და საორგანიზაციო საკითხთა დირექტორის, კომერციული დირექტორის (ყოფილი ბიზნეს დირექტორი), ეთიკისა და შესაბამისობის სამსახურის ხელმძღვანელის, მომხმარებელთა გამოცდილების დეპარტამენტის უფროსის (ყოფილი მომხმარებელთა გამოცდილების მენეჯერის) და საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის), რომელიც აღრიცხულია თანამშრომლების სარგებლის ხარჯებში, შეადგენდა 5,317 ათას ლარსა და 3,354 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ძირითადად შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და საქმიანობის შედეგების ბონუსისგან, რომელიც ეფუძნება საოპერაციო შედეგებს. გარდა ამისა, 2024 წელს, 1,400 ათასი ლარის ოდენობის ერთჯერადი ბონუსი გაიცა, როგორც ჯილდო, წამყვან გლობალურ სატელეკომუნიკაციო პროვაიდერთან, Vodafone-თან სტრატეგიული პარტნიორობის წარმატებით დასრულებისთვის, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში და რომელიც ანიჭებს Cellfie Mobile-ს უფლებას გამოიყენოს Vodafone ბრენდის სახელი და უზრუნველყოფს წვდომას Vodafone-ის ფართო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკაზე ციფრულ ინოვაციაში.

26 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები .კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- საიჯარო ვალდებულებები;
- სესხები და ნასესხები სახსრები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება სავაჭრო მოთხოვნებისა და საბანკო ნაშთების საკრედიტო რისკს. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. .

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

კომპანია ადგენს გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი ზარალის შეფასებას. ამ ანარიცხის ძირითადი კომპონენტია კოლექტიური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიქმნება ადგილობრივი საცალო და საბითუმო მომხმარებლებისგან. კომპანიას არ აქვს ამ მომხმარებლების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს კოლექტიურ საპორტფელო დონეზე (დაჯგუფებული დაქვემდებარებები, რომლებიც ეფუძნებიან საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით.

ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს:

- **დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ("EAD").** დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას.
- **ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD")** არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს, მათ შორის ურთიერთჩათვლის შეთახმებებიდან ან აღდგენებიდან. როგორც წესი, ის გამოხატულია, როგორც დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის პროცენტი.
- **დეფოლტის ალბათობა (PD)** არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში.
- **დისკონტირების განაკვეთი.** მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება მათ დღევანდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ან ფინანსური ინსტრუმენტისთვის სათანადო მიახლოების გამოყენებით

ხელმძღვანელობა ახდენს *12-თვიანი ECL-ის* მოდელირებას, რაც წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში,* თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით. ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ ცვლილებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის სავაჭრო მოთხოვნებისთვის. კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როდესაც ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი, ან მეტი იქნება დაკმაყოფილებული.

- მსესხებელს აქვს საკონტრაქტო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება

კომპანია ECL-ს პორტფელის საფუძველზე აფასებს. როდესაც შეფასება ხორციელდება პორტფელის საფუძველზე, კომპანია აანალიზებს მის დაქვემდებარებას საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით, ისე, რომ ჯგუფში არსებული ექსპოზიციები ერთგვაროვან ან მსგავს რისკებს შეიცავს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო წლის და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გასაანგარიშებლად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ან მის მიახლოებულ მნიშვნელობას.

საბაზრო ფასის რისკი. საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკისგან.

ა. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია უფრო ადრეულის, სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით:

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

შემდგომი ასახავს მონაცემებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნა 1 თვე და ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არაფულადი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	21,520	20,085	-	-	-	**41,605**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(34,372)	(70,357)	(6,842)	(28,046)	-	**(139,617)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს	**(12,852)**	**(50,272)**	**(6,842)**	**(28,046)**	**-**	**(98,012)**
2023 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	29,812	-	-	-	-	**29,812**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(52,308)	(68,363)	(4,614)	(16,024)	-	**(141,309)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2024 წლის 31 დეკემბერს	**(22,496)**	**(68,363)**	**(4,614)**	**(16,024)**	**-**	**(111,497)**

ბ. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში. საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით, კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარება აღარ უკავშირდება მის ნასესხებ სახსრებს. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები წარმოდგენილი იყო სამუშაო ვალუტაში. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. კომპანია მიზნად ისახავს შესაბამის ვალუტაში არსებული ხარჯებისა და ინვესტიციების დაფინანსებას და სავალუტო რისკის მართვას ადგილობრივ დონეზე იმ ვალუტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანით, რომელშიც ის გამოიმუშავებს ამონაგებს და რომლითაც ის გასწევს ხარჯებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია მგრძნობელობა აშშ-ს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებებთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში.

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(1,676)	(1,676)	(1,077)	(1,077)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	1,676	1,676	1,077	1,077
ევროს გამყარება 10%-ით	(50)	(50)	(27)	(27)
ევროს გაუფასურება 10%-ით	50	50	27	27

26 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	13,323	(30,079)	(16,756)	11,307	(22,080)	(10,773)
ევრო	577	(1,081)	(504)	384	(651)	(267)
სულ	**13,900**	**(31,160)**	**(17,260)**	**11,691**	**(22,731)**	**(11,040)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე დაფარვის ვადის დადგომისას.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და ნასესხები სახსრები	82,157	1,286	11,503	90,651	-	**103,440**
საიჯარო ვალდებულებები	24,648	3,545	9,621	15,435	443	**29,044**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,812	32,812	-	-	-	**32,812**
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**139,617**	**37,643**	**21,124**	**106,086**	**443**	**165,296**

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და ნასესხები სახსრები	84,612	1,315	13,034	104,091	2,629	**121,069**
საიჯარო ვალდებულებები	25,771	3,618	9,765	19,626	589	**33,598**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,926	30,926	-	-	-	**30,926**
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**141,309**	**35,859**	**22,799**	**123,717**	**3,218**	**185,593**

27 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანებია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს მესაკუთრეებისათვის ამონაგების განაწილება და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის მოტანა და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს მესაკუთრეებზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, მესაკუთრეებისათვის კაპიტალის დაბრუნება, გამოსცეს ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები, ვალის შემცირების მიზნით. კომპანიის ხელმძღვანელობას შემუშავებული არ აქვს კაპიტალის მართვის მკაფიო პროცედურა.

28 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადია და (iii) მესამე დონის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე არსებულ დაკვირვებად მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. სამართლიანი ღირებულებები გაანალიზებული მათი დონის მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

28 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
აქტივები ამორტიზებული ღირებულებით								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	14,872	-	**14,883**	16	20,194	-	**20,210**
- სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	20,085	-	**20,085**	-	-	-	**-**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	6,637	**6,637**	-	-	9,602	**9,602**
სულ ფინანსური აქტივები	**11**	**34,957**	**6,637**	**41,605**	**16**	**20,194**	**9,602**	**29,812**
ვალდებულებები								
ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით								
-სესხები და ნასესხები სახსრები	-	17,604	64,553	**82,157**	-	20,270	64,342	**84,612**
-საიჯარო ვალდებულებები	-	-	24,648	**24,648**	-	-	25,771	**25,771**
-სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	32,812	**32,812**	-	-	30,926	**30,926**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**17,604**	**122,013**	**139,617**	**-**	**20,270**	**121,039**	**141,309**

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

28 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო საქმისწარმოება. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში, შესაძლოა წარმოიშვას პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ამჟამად, კომპანიას აქვს ორი მიმდინარე სასამართლო დავა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ზარალის ანაზღაურებაზე ხანძრის გამო, რომელიც გაუჩნდა კომპანიის სატელეკომუნიკაციო ხაზებს. პრეტენზიების ჯამური მოცულობა 748 ათასი ლარია. ამ პრეტენზიებთან დაკავშირებული ანარიცხები 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში აღიარდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად არის ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომლის განსხვავებული ინტერპრეტაციები გააჩნია სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და გამოძიებას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მძიმე ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ გადახედვისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო მეტხანსაც დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად წარმოადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაძლოა მათი ეფექტი ამ ფინანსურ ინფორმაციაზე იყოს მნიშვნელოვანი, თუ ეს ორგანოები შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას.

2024 წლის 20 დეკემბერს, 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში არსებული ხანგრძლივი საგადასახადო დავის შედეგად, რომელიც კომპანიის სასარგებლოდ გადაწყდა, სხვა არაფინანსური აქტივები გაიზარდა 4,191 ათასი ლარით და შემოსულობა აღიარებულ იქნა ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი. დადგენილების შედეგად დაბრუნდა ადრე გადახდილი დღგ, ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებისთვის. მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებისთვის“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით (შენიშვნა 18).

29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან, კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკისგან მის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით. ასეთი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის ხელშეკრულებების შეწყვეტა და/ან სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მოთხოვნა სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია შესაბამისობაში იყო შეთანხმებულ პირობებთან.

30 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	2,415	(223)	2,192
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისთვის	6,190	(3,049)	3,141
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**8,605**	**(3,272)**	**5,333**
ვალდებულები			
ვალდებულებები როუმინგისთვის	(774)	223	(551)
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისთვის	(9,238)	3,049	(6,189)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(10,012)**	**3,272**	**(6,740)**

30 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	3,610	(43)	3,567
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისთვის	2,663	51	2,714
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**6,273**	**8**	**6,281**
ვალდებულები			
ვალდებულებები როუმინგისთვის	(467)	43	(424)
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისთვის	(6,155)	(51)	(6,206)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(6,622)**	**(8)**	**(6,630)**

სვეტში (b) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის თანხა ნაკლებია: (i) ურთიერთგადაფარვამდე მთლიან თანხაზე, რომელიც ასახულია (a) სვეტში და (ii) დაკავშირებულ ინსტრუმენტთან რომელიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას (c) ყოველი ინდივიდუალური ინსტრუმენტისათვის, რათა არ მოხდეს საბოლოო წმინდა დაქვემდებარების არასრულად წარმოჩენა.

კომპანიას ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმებები აქვს გაფორმებული, რომლებიც აღსრულებადია დეფოლტის შემთხვევაში. ამასთან, შესაბამისი კანონმდებლობით ნებადართულია საწარმოს მიერ სავაჭრო მოთხოვნების ცალმხრივად ჩათვლა, ისევე როგორც ვალდებულების, რომლებიც გადასახდელია და ასახულია იმავე ვალუტაში და დასაფარია იმავე პარტნიორთან. აღნიშნული ექვემდებარება განმარტებას, რადგან ისინი გადაფარულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

31 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მთავარი ხელმძღვანელი პირების ცვლილებები. 2025 წლის 1 იანვრიდან, ბატონი გენადი როსტომაული და ბატონი გიორგი ნინიაშვილი დაინიშნენ ტექნიკურ დირექტორად (CTO) და ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორად (CITO), შესაბამისად. 2025 წლის 1 თებერვლიდან, ქალბატონმა თამარ ჯიქიამ პროექტების მართვის დირექტორის პოზიცია დაიკავა. გარდა ამისა, 2025 წლის 1 აპრილიდან, ბატონმა როსტომ ტალახაძემ გენერალური დირექტორის (CEO) თანამდებობა დაიკავა, შეცვალა რა ყოფილი გენერალური დირექტორი, ბატონი ირაკლი ესართია, რომელმაც ეს პოზიცია ბატონი დიმიტრი შუღლიაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, 2024 წლის ნოემბერში დაიკავა.



შპს „სელფი მობაილ“

მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024

სარჩევი

კომპანიის შესახებ 3
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი 4
კორპორაციული მართვის ანგარიში 5
ინტერესთა კონფლიქტი 17
კომპანიის საკრედიტო რეიტინგი და ობლიგაციების განთავსება 17
ძირითადი საქმიანობა 18
ტექნოლოგიები 18
ბაზრის მიმოხილვა 18
კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია 20
კომპანიის ძირითადი რისკები 22
კომპანიის გაყიდვების ოფისები 23
ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ 24
ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 24
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 26

კომპანიის შესახებ


შპს სელფი მობაილ („კომპანია“) დაარსდა 2003 წლის 19 ნოემბერს შპს მობიტელის სახელით. 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული რებრენდინგის შედეგად კომპანიამ ოპერირება „სელფი მობაილის“ ბრენდით დაიწყო, შესაბამისად შეიცვალა იურიდიული სახელწოდებაც და 2023 წლის აპრილის თვიდან შპს სელფი მობაილ გახდა. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584, შემდეგ მისამართზე: ბამბის რიგი #8, თბილისი, საქართველო. ფაქტობრივი მისამართია: წერეთლის გამზირი #118ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიამ თავის საბოლოო ბენეფიციართან, ხვიცა მაქაცარიასთან, ერთად 2023 წლის დასაწყისში კომპანია შპს „პეისი“ დაარსა, სადაც 51%-იან წილს ფლობს. შვილობილი კომპანია ამ ეტაპზე არ არის მოქმედი.

2023 წლის ივლისში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურაში ცვლილებები შევიდა, კერძოდ, მაშინდელმა საბოლოო ბენეფიციარმა ხვიჩა მაქაცარიამ თავისი 100%-იანი წილი შპს „სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.“-ზე სრულად გაასხვისა, თუმცა ის მაინც რჩება კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შპს „მირენ ინვესტის“ მხრიდან, საიდანაც კომპანიის მაკონტროლებელი 59,1% წილი უჭირავს. შპს „სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.“-ს წილს შპს „მირენ ინვესტთან“ ერთად ფლობენ შპს „გაზტრანზიტი“ (38,4%) და შპს „სილვერ ლეიქ“ (2,5%), საბოლოო ბენეფიციარებს კი ხვიჩა მაქაცარიასთან ერთად მამუკა ტოგონიძე (38,4%), კონსტანტინ სახოკია (1,25%) და იულია დედოვა (1,25%) წარმოადგენენ. 2024 წლის განმავლობაში სადამფუძნებლო სტრუქტურაში ცვლილება არ მომხდარა.

კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა საანგარიშო პერიოდისთვის



მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიის მაკონტროლებელი წილის მფლობელს, ხვიჩა მაქაცარიას, აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი და ფლობს ბიზნესებს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის: ენერგეტიკაში, ტრანსპორტირებასა და ფიქსირებული ინტერნეტის სექტორში. მის მფლობელობაში ასევე არის CBS ჰოლდინგური საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია გამორჩეული შედეგების მქონე პროფესიონალი კადრებით. აქედან გამომდინარე, ჯგუფს/ბიზნესმენს სხვადასხვა კომპანიებში დაგროვილი აქვს ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია „სელფი მობაილისთვის“. ამის გარდა, ჯგუფის სიდიდის წყალობით კომპანიას ფართო წვდომა უჩნდება კაპიტალის ბაზრებსა და ინვესტორების ბაზაზე.

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტები კომპანიის კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

საერთო კრება (პარტნიორთა კრება) მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებას, როგორიცაა კომპანიის წესდების შეცვლა, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.;
სამეთვალყურეო საბჭო გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები/ქმედებები/გარიგებები საჭიროებს მის თანხმობას, მაგალითად, როგორიცაა ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, სხვა საწარმოში წილის შეძენა და გასხვისება, საზოგადოების მიერ სესხის აღებასთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებების ერთობლიობის დამტკიცება, დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და ა.შ. კომპანიაში არსებული სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან 3 დამოუკიდებელია.
დირექტორი, რომელიც დაკავებულია ყოველდღიური მენეჯმენტით.

კომპანიის პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალურ დირექტორი, გენერალური დირექტორს დაქვემდებარებულ მენეჯერთა ჯგუფი და კომპანიაში არსებული სხვა საბჭო/კომიტეტები, განსაზღვრავს, აკონტროლებს და ინარჩუნებს პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს კომპანიამ.

„სელფი მობაილში“ კორპორატიული მართვის პროცესები რეგულირდება სხვადასხვა შიდა პოლიტიკებით, როგორებიცაა მაგალითად: უფლებამოსილების მატრიცა, ქცევის კოდექსი, ხელშეკრულების სტანდარტებისა და მართვის პროცედურა, კიბერ უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემთა დაცვისა პოლიტიკები და სხვა.

ასევე კომპანიაში მოქმედებს **რისკებისა და შიდა აუდიტის/კონტროლების კომიტეტი,** რომლის მიზანია გადახედოს და შეაფასოს კომპანიის ზოგადი რისკების პროფილი, უზრუნველყოს რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რისკების ზედამხედველობა კომპანიის მენეჯმენტის მიერ;

შიდა კონტროლი და რისკების მართვა გადამწყვეტია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მთლიანობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.

კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს გონივრული გარანტია მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

კომპანია იცავს COSO ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას ეფექტური შიდა კონტროლისა და რისკის მართვის პრაქტიკის შემუშავებისა და დანერგვისთვის. ეს ჩარჩო კომპანიას ეხმრება ჩამოაყალიბოს ძლიერი სისტემა, რომელიც ადაპტირდება განვითარებად ბიზნეს გარემოსთან.

ძლიერი შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების შენარჩუნება აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგებისა და ორგანიზაციული წარმატებისთვის. კომპანია აგრძელებს ამ სისტემების გაძლიერებას, რათა დააკმაყოფილოს მმართველობისა და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტები.

კორპორაციული მართვის ანგარიში

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება (შემდგომში „საერთო კრება“).

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს პარტნიორთა ინტერესებს პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს და არეგულირებს საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას.

კომპანიის გენერალური დირექტორი (შემდგომში „გენერალური დირექტორი“), რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

კომპანიის მორიგი საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ და განიხილავს კომპანიის, მათ შორის მისი შვილობილი საწარმოების საქმიანობის წლიური შედეგებს, მოგების განაწილების წესს, დივიდენდების გადახდის ვადებსა და წესს. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს, როგორც რიგგარეშე კრება. რიგგარეშე პარტნიორთა კრება ტარდება ყველა პარტნიორის ურთიერთშეთანხმებით, ან მას იწვევს საზოგადოების გენერალური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის, პარტნიორების, რომლებიც საერთო ჯამში ფლობენ ხმათა სულ მცირე 5%-ს, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ან გენერალური დირექტორის ინიციატივით. კომპანიის ყოველდღიური მართვა და წარმომადგენლობა წესდების შესაბამისად ეკისრება გენერალურ დირექტორს. კომპანიის გენერალური დირექტორი კომპანიის საქმიანობას უძღვება გულმოდგინედ და ერთგულად, იცავს წესდებას, დებულებას, პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომპანიის გენერალური დირექტორი და მენეჯერთა გუნდი (დირექტორატი) აღიარებს კორპორაციული მართვის ჯანსაღი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს. კომპანიას მართავს გამოცდილი და კვალიფიციური დირექტორებისგან შემდგარი გუნდი. გენერალურ დირექტორს ექვემდებარება 10 სხვადასხვა მიმართულების დირექტორი/მენეჯერი. კომპანია მკაცრად იცავს დივერსიფიკაციის პოლიტიკას და 10 დირექტორიდან 5 ქალია.

<u>სამეთვალყურეო საბჭო</u>

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს რიგით წლიურ კრებამდე ვადით ირჩევენ პარტნიორთა საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია. კომპანიის წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო თავისი წევრებისგან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ

რიგში, ითვალისწინებს საზოგადოების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ხვდება გენერალურ დირექტორსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. გენერალურ დირექტორთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად აფასებს გენერალური დირექტორის მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად აფასებს გენერალურ დირექტორს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან, ასევე საწარმოს ქცევის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას.

საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში ითვალისწინებს საწარმოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია თვითშეფასების და შეფასების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ, შესაბამისად ყოველწლიურად შეფასებას ექვემდებარება საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტის სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საზოგადოების შიდა წესების მოთხოვნებთან. ასევე, შეფასებას ექვემდებარება საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება კომპანიის წესდებით, პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია 5 წევრისგან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და უნარი ერთობლივად უზრუნველყოს საზოგადოების საქმიანობის სათანადოდ წარმართვა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზა. სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე 2 წევრს გააჩნია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე 2 წევრი წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, რომელთაც საქმიანობის განხორციელებისას შესაძლებლობა აქვთ გადაწყვეტილებები მიიღონ ობიექტურად და დამოუკიდებელად, ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს და რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტებისას პარტნიორთა კრება ხელმძღვანელობს, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმებით, რომელიც განისაზღვრება საზოგადოების შიდა დოკუმენტით, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ვადა და ფარგლები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება სულ მცირე კვარტალში ერთხელ.

აუდიტის კომიტეტი

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომელიც წინასწარ განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. აუდიტის კომიტეტი, დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. აუდიტის კომიტეტის საქმიანობას წარმართავს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს. აუდიტის კომიტეტი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარ წლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აუდიტის კომიტეტის დებულებით. აუდიტის კომიტეტს გააჩნია ზედამხედველობის ფუნქცია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესების განხორციელებასთან და შესრულებასთან დაკავშირებით. აუდიტის კომიტეტი უშუალოდ პასუხისმგებელია დამოუკიდებელი აუდიტორის სამუშაოს ზედამხედველობაზე, მათ შორის გენერალურ დირექტორს და დამოუკიდებელ აუდიტორს შორის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოებების გადაწყვეტაზე. აუდიტის კომიტეტი ასევე განიხილავს საწარმოს რისკების მართვის მთლიან ჩარჩოს და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობასა და სტრუქტურას, სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს რჩევებს მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან კომპანიის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით. აუდიტის კომიტეტის ზედამხედველობასა და მონიტორინგს უწევს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას, ფინანსური და არა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

კომიტეტს გააჩნია კომპანიის ფინანსური და აუდიტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება. კომიტეტი უფლებამოსილია, კომპანიის ხარჯით, დაიქირაოს და დაამტკიცოს სპეციალური იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა კონსულტანტების ან ექსპერტების მომსახურების საფასური და დაქირავების სხვა პირობები, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის ნაკისრი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის.

კომიტეტი, მისი გადაწყვეტილების, უფლებამოსილებისა და მიზნის შესაბამისად, ხელმძღვანელობასთან და დამოუკიდებელ აუდიტორთან ერთად განიხილავს წლიურ აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მათ შორის მნიშვნელოვან საკითხებსა და გადაწყვეტილებებს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრინციპებისა და პრაქტიკების შესახებ, მარეგულირებელი და სააღრიცხვო ინიციატივების ზემოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე. აუდიტის დასრულების შემდეგ განიხილავს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს. განიხილავს მთავარ საკითხებსა და ცვლილებებს კომპანიის აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და პრაქტიკებში და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში. კომიტეტი უშუალოდ პასუხისმგებელია დამოუკიდებელი აუდიტორის სამუშაოს ზედამხედველობაზე, მათ შორის გენერალურ დირექტორს, მენეჯმენტს და დამოუკიდებელ აუდიტორს შორის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოებების გადაწყვეტაზე. მინიმუმ ყოველწლიურად იღებს და განიხილავს დამოუკიდებელი აუდიტორის კვალიფიკაციას, დასკვნას, რომელშიც აღწერილია დამოუკიდებელი აუდიტორის შიდა ხარისხის კონტროლის პროცედურები. განიხილავს კომპანიის რისკების მართვის მთლიან ჩარჩოს, შიდა

კონტროლის სისტემების სტრუქტურასა და ეფექტურობას. განიხილავს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის მიერ ჩასატარებელი შიდა აუდიტის/კონტროლების ფარგლებს და ჩატარების სიხშირეს.

კომიტეტი ასევე რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს დაამტკიცოს სათანადო დამატებები ან ცვლილებები კომიტეტის საქმიანობებში, მოვალეობებში და პასუხისმგებლობებში ან კომიტეტის დებულებაში.

კორპორაციული მდივანი

სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის საქმიანობის კოორდინაციისთვის და კარგი კორპორაციული პრაქტიკის დასამკვიდრებლად სამეთვალყურეო საბჭოსთან ფუნქციონირებს კორპორაციული მდივნის ინსტიტუტი. კორპორაციული მდივანი მასზე დაკისრებული კორპორაციული მდივნის ფუნქციის ფარგლებში წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საზოგადოების მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. კორპორაციული მდივანი თავის ფუნქციებს ახორციელებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. მისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები დეტალურად არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. კორპორაციული მდივანი წარმოადგენს შიდა ორგანიზაციულ დონეზე სამეთვალყურეო საბჭოს დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოსთან - გენერალურ დირექტორთან.

გენერალური დირექტორი

კომპანიის გენერალური დირექტორი წარმოადგენს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც აღასრულებს საზოგადოების ბიზნეს სტრატეგიებს, ასევე პასუხისმგებელია საზოგადოების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საზოგადოების შიგნით უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

კომპანიის გენერალური დირექტორი ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აძლევს სტრატეგიულ რჩევებს, წარუდგენს შედეგებსა და შესაბამის დასკვნებს. ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს აცნობებს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ მონაცემებს, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. გენერალური დირექტორის მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, პროექტების მომზადება, კომპანიის შიდა წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია პარტნიორების ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და აგრეთვე მათი შესრულების უზრუნველყოფა. გენერალური დირექტორი კომპანიის საქმიანობას წარმართავს მის დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით: კომერციული დირექცია, ფინანსური დირექცია, პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექცია, ტექნიკური დირექცია, იურიდიული დირექცია, ეთიკისა და კომპლაენსის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მომხმარებლის გამოცდილების სამსახური, ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური.

კომპანია მხარს უჭერს ქცევის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს კომპანიის ქცევისა და კორპორაციული მართვის კოდექსს. კომპანიას აქვს ეთიკის/ქცევის კოდექსი, რომელიც ადგენს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ქცევის მაღალ სტანდარტებს. ქცევის კოდექსი მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის, კორუფციის პრევენციის, ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი

სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან, შექმნას და წაახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო. კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლების შერჩევას დამსახურებისა და ბიზნესის ობიექტური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფავორიტიზმი. გარდა ამისა, კომპანია იცავს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს და უარს ამბობს კონკურენტებთან პირის შეკვრაზე ან უკანონო შეთანხმებაზე.

რისკის მართვა

სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფი მენეჯერები, დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვასა და შიდა კონტროლზე.

კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს და სადაც ფუნქციების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესებზე.

კომპანიას შექმნილი აქვს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება კომპანიის მაკონტროლებელი ფუნქციების წარმომადგენლებისგან: ეთიკისა და კომპლაენს სამსახურის ხელმძღვანელი (თავმჯდომარე), გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, იურიდიული დირექტორი, შემოსავლების უზრუნველყოფისა და ფროდის მენეჯერი, კიბერ - უსაფრთხოების მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი, ტექნიკური დირექტორი. რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის (შემდგომში კომიტეტის) მიზანია უზრუნველყოს რისკებისა, შიდა აუდიტისა და კონტროლების პოლიტიკის აღსრულება/რეალიზაცია, გადახედოს და შეაფასოს კომპანიის ზოგადი რისკ პროფილი, უზრუნველყოს რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რისკების ზედამხედველობა კომპანიის მენეჯმენტის მიერ, როგორც განსაზღვრულია წინამდებარე წესდებით.

კომიტეტი აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მხარდასაჭერად უზრუნველყოფს კომპანიის რისკ მენეჯმენტის, შიდა აუდიტის/კონტროლების, კომპლაენს (მათ შორის მექრთამეობისა და ანტიკორუფციული), რეგულატორულ, საერთაშორისო სანქციებთან და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურ ზედამხედველობასა და მართვას. რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტს თავისი მიზნიდან გამომდინარე აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

მმართველობა

კომიტეტი პერიოდულად გადახედავს და რეკომენდაციებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის მართვასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ დოკუმენტების, პოლიტიკებისა და პროცედურების შესახებ, მათ შორის კომპანიის უფლებამოსილებათა მატრიცის შესახებ, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას კომპანიის პოლიტიკებთან ან/და უფლებამოსილებათა მატრიცასთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით. კომიტეტი მუდმივად იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან კომპანიის მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, რისკის საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით. ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, კომიტეტს სრული წვდომა აქვს, როგორც კომპანიის პერსონალთან, ასევე სხვა შიდა და გარე მხარეებთან.

რისკების მართვა

კომიტეტს შემუშავებული აქვს რისკების მართვის ჩარჩო/პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები. რისკის მართვის ჩარჩო/პოლიტიკა, გათვლილია საწარმოს მოკლევადიან, საშუალო ვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე, რომელსაც ყოველწლიურად გადახედავს სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტი ახორციელებს რისკების მართვის ჩარჩოს/პოლიტიკის მეთვალყურეობასა და რისკების რეესტრის აღრიცხვა-გადახედვას, ასევე სულ მცირე ყოველ ექვს თვეში ერთხელ განიხილავს კომპანიის საერთო რისკების პროფილს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტი განიხილავს და აფასებს კომპანიის რისკ პროფილს და მისი შესაბამისობას კომპანიის რისკ აპეტიტთან და რისკის მიმღებლობას. კომიტეტი აფასებს მნიშვნელოვანი რისკების ეფექტს (მათ შორის პოტენციურ ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკები) და შეიმუშავოს რეკომენდაციებს ამ რისკების შესამცირებლად. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიების შესახებ, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე. კომიტეტი ყოველწლიურად ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტს და შემდგომს სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის ჩარჩოს/პოლიტიკას.

ეთიკის და კომპლაენს პროგრამა

კომიტეტი ყოველწლიურად ამტკიცებს კომპანიის ეთიკისა და კომპლაენს ფუნქციის ყოველწლიურ სტრატეგიას და სამუშაო გეგმას. კომიტეტი აკონტროლებს კომპანიის შესაბამისობას კომპანიის ქცევის კოდექსსა და პოლიტიკებსა და პროცედურებთან, შესაბამის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან და გასცემს რეკომენდაციებს მენეჯმენტის მიერ ეთიკისა და კომპლაენს პროგრამის ეფექტურობის მხარდაჭერის კუთხით შესრულებულ ქმედებებზე.

კომიტეტი აფასებს კომპანიის ნებისმიერ მაღალი რისკის ტრანზაქციას და სხვა საკითხებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს გართულებები კომპლაენსის კუთხით ან/და ბიზნეს ოპერაციებისთვის, მათ შორის, კომპანიის უფლებამოსილებათა მატრიცის მიხედვით ნებისმიერი „მნიშვნელოვან რისკად“ მიჩნეული საკითხს, რომლებიც შემდგომ საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოზე დამტკიცებას.

კორპორაციული მმართველობა

აგრეთვე კომიტეტი უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან და დოკუმენტებთან.

შიდა აუდიტი და კონტროლები

კომიტეტი რეგულარულად განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლების სისტემის დიზაინს, ადეკვატურობასა და ეფექტურობას, ავლენს შიდა კონტროლების სისტემების ნაკლოვანებებს და აკონტროლებს შიდა კონტროლების ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით დასახული ქმედებების შესრულებას. კომიტეტი ყოველწლიურად აფასებს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობასა და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტს და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორთა საერთო კრებას.

ინფორმაციული უსაფრთხოება

კომიტეტი რეგულარულად იხილავს ინფორმაციას კომპანიის ინფორმაციული უსაფრთხოების აქტივობების შესახებ და აფასებს აღნიშნული ფუნქციის ეფექტურობას.

შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სატელეკომუნიკაციო ბიზნესში და ამიტომ კომპანია, სამუშაო გარემოში და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში, შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და საგანმანათლებლო სემინარებს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის. კომპანიას ყველა თანამშრომლისთვის უზრუნველყოფილი აქვს ჯანსაღი სამუშაო გარემო და გამოყოფილი აქვს საჭირო რესურსები შრომის უსაფრთხოების ეფექტური მართვისთვის. გარდა ამისა, კომპანია აქვეყნებს უსაფრთხოების შესახებ ბროშურებს და სპეციალურ წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ობიექტებზე მუშაობისას. შესაბამისი კონტროლის პროცედურები მოიცავს აუდიტებს შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების გარედან მოწვეული კონსულტანტების მიერ და შიდა ინსპექციებს კომპანიის ობიექტებზე. კომპანიაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომლებსა და შესაბამის კონტრაქტორებზე.

სოციალური პროდუქტები და ქველმოქმედება

2024 წლის განმავლობაში და 2025 წლის დასაწყისში, სელფი მობაილმა აქტიურად განაგრძო და კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოში ხარისხიან განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფა, ახალგაზრდებში ინოვაციის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოში კრეატიული ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა.

ფესტივალებისა და პლატფორმების მხარდაჭერა

სელფი მობაილმა განაგრძო საგანმანათლებლო ფესტივალებისა და ციფრული პლატფორმების აქტიური მხარდაჭერა. 2024 წელს, სელფი მობაილი, უკვე ტრადიციულად, გახდა Nasa Space Apps Challenge-ის ადგილობრივი კონკურსის პარტნიორი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რეკორდულად ბევრმა სტუდენტმა. ასევე, Educare Georgia-სთან ერთად განახლდა Khan Academy -ის გაკვეთილების გაქართულება. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს პირველად, სელფი მობაილი დაუმეგობრდა TEDxYouth Tbilisi -ის ღონისძიებას. TEDxYouth-ი – მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი იდეების გაზიარების პლატფორმის, TED -ის ღონისძიებაა. TEDx კონფერენციები საქართველოში 2012 წლიდან ტარდება. 2024 წლის TEDxYouth Tbilisi-ის ღონისძიებაში 10 სპიკერმა წარადგინა ინდივიდუალური მოხსენება. ღონისძიება ხელს უწყობს ახალგაზრდებში კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარებას და შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს გამოცადონ მსოფლიოში საუკეთესო გამოსვლებისთვის მომზადების პროცესი.

სელფი მობაილის თანამშრომლობა კრეატიულ ინდუსტრიასთან გაღრმავდა 2024 წელს. რეგიონში ყველაზე დიდი სარეკლამო ფესტივალის AdBlack Sea -ს მხარდამჭერი, ასევე უკვე ტრადიციულად, სელფი მობაილი იყო 2024 წელსაც. ამჯერად კომპანიამ დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა დეტალურად გაცნობოდნენ ფესტივალზე შერჩეულ ყველა ნამუშევარს, რაც აქამდე შეუძლებელი იყო. ფესტივალი თავს უყრის საქართველოს კრეატიულ ინდუსტრიას და დაინტერესებულ პირებს. კონკურსის გარდა, მონაწილეები ესწრებიან წამყვანი უცხოელი სპიკერების გამოსვლებსა და ვორქშოპებს. 2024 წელს, პირველად ასევე ჩატარდა დიზაინის ფესტივალი, სელფი მობაილის მხარდაჭერით. ამ შემთხვევაში, დამწყებ და გამოცდილ ქართველ დიზაინერებს შესაძლებლობა ქონდათ დასწრებოდნენ არაერთ გამოსვლასა და პრაქტიკულ შეხვედრას, რომლებსაც გაუძღვენ მსოფლიოში აღიარებული, დიზაინის სფეროს პროფესიონალები. მსგავსი მასშტაბისა და ხარისხის ფესტივალი, საქართველოში აქამდე არ ჩატარებულა.

პირველად მისი არსებობის მანძილზე, სელფი მობაილი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოხელოვნების ფესტივალის, „ქოლგა თბილისი ფოტო“ 2025-ის პარტნიორი და მობილური ფოტოგრაფიის კატეგორიის სპონსორი გახდა. ხელოვნების სფეროს განვითარების მიზნით, ქოლგა თბილისი ფოტო უკვე 23 წელია რაც აერთიანებს დამწყებ და პროფესიონალ ფოტოგრაფებს საქართველოდან და მთელი მსოფლიოდან. ამ მასშტაბის ფესტივალის საქართველოში ჩატარების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ინიციატივაა ჩვენი ქვეყნის როგორც ხელოვნების, კრეატივისა და შემოქმედებითობის ცენტრის ჩამოყალიბებისთვის არა მხოლოდ სამეზობლოში, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

2025 წელს სელფი მობაილი მსოფლიოში კრეატივის ინდუსტრიისთვის ყველაზე პრესტიჟული, კანის ლომების ადგილობრივი ახალგაზრდული კონკურსის, DIGITAL კატეგორიის მხარდამჭერი იყო. კანის ლომების ახალგაზრდული ფესტივალის ადგილობრივი კონკურსი საქართველოში 2016 წლიდან ტარდება და ფასდაუდებელ როლს ასრულებს ქართული კრეატიული ინდუსტრიის განვითარებასა და მთლიანად, ქვეყნის კრეატიული ეკოსისტემის ინტეგრაციაში მსოფლიო კრეატიულ ინდუსტრიაში. ფესტივალი უნიკალური შესაძლებლობაა ახალგაზრდებისთვის, იასპარეზონ საერთაშორისო დონეზე და წარადგინონ ქვეყანა კანის ლომების გლობალურ სცენაზე.

Windfor’s Academy-ის პარტნიორობა და სტუდენტების დაფინანსება

2025 წლის დასაწყისში, სელფი მობაილმა გააფორმა პარტნიორობა კრეატიული ინდუსტრიის ერთ-ერთ ფუძემდებელ კომპანიასთან, სარეკლამო სააგენტო Windfor’s-თან. სააგენტოს მიერ დაარსებული Windfor’s Academy უკვე სამი წელია მხარს უჭერს კრეატივის ახალგაზრდა პროფესიონალებს და შესაძელობას აძლევს დაესწრონ სამ მოდულს, რომელთაგან თითოეული ერთ თვეს გრძელდება: ფოტოგრაფიის, ანიმაციისა და ბრენდინგის სფეროში. სამი თვის განმავლობაში, წელიწადში სამჯერ ჩატარებული კურსის ფარგლებში, დაახლოებით 150 სტუდენტი იღებს შეუდარებელ პრაქტიკულ ცოდნას. სელფი მობაილი უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის 60%-ის დაფარვას. საქართველოში კრეატიული ინდუსტრია ყოველწლიურად იზიდავს სულ უფრო მეტ ახალგაზრდას და საქართველოს სულ უფრო სერიოზულ მოთამაშედ აქცევს მსოფლიო სარეკლამო სფეროში.

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა

კომპანიამ ინოვაციური აქცია შეთავაზა MyCellfie აპლიკაციის მომხმარებელს- ყოველდღე 5000-ზე მეტი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, სელფი მობაილი აბონენტს 200MB ინტერნეტს ჩუქნის, 24 საათით. მომხმარებელს არაფერი ევალება, გარდა იმისა, რომ აქტიურად იაროს ფეხით და დღეში ერთხელ ეწვიოს MyCellfie აპლიკაციას.

კომპანიის სოციალური ინიციატივები მორგებულია თანამშრომლების მოთხოვნებზე. დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და გამოყოფილი არის ბიუჯეტი თანამშრომლების დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის ისეთი პრობლემების დადგომის შემთხვევაში, რომლებსაც არ ან ვერ ფარავს კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევა.
კომპანიას ასევე აქვს შემუშავებული საქველმოქმედო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას საგანგებო სიტუაციების დროს. კომპანიამ 50,000 ლარი გამოყო რაჭაში, შოვში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულების დასახმარებლად, საიდანაც 30,000 ლარი მიემართა უშუალოდ დაზარალებულთა ოჯახების მხარდასაჭერად, ხოლო 20,000 ლარი გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს სამაშველო სამუშაოების საჭიროებებისთვის. ანალოგიურად, 2025 წელს, დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის შედეგებთან ბრძოლის მიზნით, კომპანიამ გადარიცხა 50,000 ლარი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში და დამატებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სპეციალურ სატელეფონო ნომერზე გააუქმა მოსაკრებლის საკომისიო რათა შემოსული თანხის 100% ორგანიზაციას სრულად მიეღო.

გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას გარემოზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედება აქვს. კომპანიის გარემოსდაცვით პოლიტიკაში ასახულია მისი მიდგომა ამ საკითხისადმი. გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის განუყოფელი ნაწილია.

კომპანიის მიერ უკვე გატარებული ზომები მოიცავს: ოფისებში ერთჯერადი პლასტმასის ნაკეთობების ჩანაცვლებას ბიოდეგრადირებადი მასალისგან დამზადებული გადაწყვეტებით. ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით ენერგოეფექტური განათების გამოყენება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გაგრილების და გათბობის სისტემის დამონტაჟება. ქაღალდის მოხმარების შემცირების მიზნით ორ გვერდზე ბეჭდვის ავტომტური რეჟიმი და კომპანიაში დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული სისტემის დანერგვა (SAP), რომელიც ფაქტობრივად სრულად აუქმებს კომპანიის შიგნით დოკუმენტბრუნვას ფიზიკური სახით. ქაღალდის გადამუშავების მიზნით თანამშრომლობა მაკულატურის შემგროვებელ ორგანიზაციასთან და შესაბამისი ყუთების განთავსება ოფისებში.

კომპანიის მიერ უახლოეს ორ წელიწადში გასატარებელი გარემოსდაცვითი ინიციატივები მოიცავს: ელექტრონული ხელმოწერის დანერგვასა და ვირტუალურ არქივზე გადასვლას. კომპანიის სერვერების გამაგრილებელი სისტემების ენერგოეფექტური გადაწყვეტებით ჩანაცვლება. სადგურების მომარაგება მზის ენერგიაზე მომუშავე დანადგარებით გამომუშავებული ენერგიით, სადაც ეს შესაძლებელი. დიზელის მოხმარებით გამომუშავებული ენერგიით სადგურების მომარაგების სრულად ჩანაცვლება განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ენერგიით. თანამშრომლების განათლება გარემოს დაცვის ინიციატივების მიმართულებით თანამშრომლების სისტემატიურ ტრენინგებში შესაბამისი მოდულის დამატებით.

ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა კომპანიაში დასაქმებულთათვის განკუთვნილი პაკეტის განუყოფელი ნაწილია.

ადამიანური რესურსების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: თანამშრომელთა უფლებების პატივისცემას, გაერთიანების თავისუფლებასა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვას, იძულებითი და ბავშვთა შრომის აკრძალვას, კომპანიის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების (მაგ. GDPR) შესაბამისად, სამართლიანი ანაზღაურებისა და სამუშაო საათების უზრუნველყოფას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სხვა მომიჯნავე საკითხებს.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანთა უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი შიდა პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს.

სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიაში მოქმედებს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დებულება, რომელიც განსაზღვრავს ხელფასების სტრუქტურას, პრემიების სახეობებსა და გაცემის წესებს, უმაღლესი მენეჯმენტისა და სხვა თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის შერჩევისა და შეფასების

კრიტერიუმებს, ანაზღაურების პოლიტიკის კონტროლის მექანიზმებს და თანამშრომელთათვის გათვალისწინებულ დამატებით გარანტიებს. აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს უზრუნველყოს სამართლიანი და გამჭვირვალე ანაზღაურების სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კანონმდებლობას და ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციასა და კომპანიის მიზნების მიღწევას.

გენდერული მრავალფეროვნება

კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. ჩვენი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება ინკლუზიურობის, პატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს. ვცდილობთ შევქმნათ სამუშაო გარემო, სადაც ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი, განურჩევლად მათი წარმომავლობისა თუ იდენტობისა. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. ჩვენი რწმენით, განსხვავებული პერსპექტივებისა და გამოცდილების მქონე ადამიანების გაერთიანება აძლიერებს ინოვაციას, ხელს უწყობს კრეატიულობას და აუმჯობესებს პრობლემების გადაჭრის უნარს. მრავალფეროვნება ასევე გვეხმარება უკეთ გავიგოთ და მოვემსახუროთ ჩვენს მრავალფეროვან კლიენტურას და საზოგადოებას. როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის აყვანას სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება. ჩვენი თანამშრომლების დაქირავების პროცესი შემუშავებულია იმგვარად, რომ მოიზიდოს ფართო სპექტრის კანდიდატები და ობიექტურად შეაფასოს მათი უნარები. ვიყენებთ სტრუქტურირებულ ინტერვიუებს და შეფასების მეთოდებს, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მინიმუმამდე დავიყვანოთ უნებლიე მიკერძოება.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მიღწევა მუდმივი პროცესია. რეგულარულად ვაფასებთ ჩვენს პროგრესს, ვისმენთ თანამშრომლების უკუკავშირს და ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი პრაქტიკა. გვჯერა, რომ ეს ძალისხმევა არა მხოლოდ სწორი საქციელია, არამედ აუცილებელია ჩვენი კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისთვის და პოზიტიური გავლენისთვის იმ საზოგადოებებზე, რომლებშიც ვმოქმედებთ

ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი

კომპანია ვალდებულია იმოქმედოს მაღალი ეთიკური სტანდარტებით და სრულ შესაბამისობაში იყოს ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციასთან. ამ მიზნის მისაღწევად, შემუშავებული და დანერგილია რიგი პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

კომპანიის ეთიკისა და კომპლაენს პროგრამის საფუძველს წარმოადგენს ქცევის კოდექსი - გზამკვლევი კომპანიის ორგანიზაციულ კულტურაში, კომპანიის კორპორაციული პრინციპებისა და ეთიკური სტანდარტების გამაერთიანებელი ერთადერთი და შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ის აღწერს ბიზნესის სწორად მართვის პრინციპებს და კორპორაციული ღირებულებების შესაბამის ქცევას. ის თანაბრად ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომელზე და ეხება კომპანიის საქმიანობის ყველა საკვანძო საკითხს, მათ შორის საქმიან თუ პირად ურთიერთობებს, როგორც კომპანიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, კომპანიის ნულოვან ტოლერანტობას მექრთამეობისა და კორუფციის მიმართ, კანონმდებლობის მკაცრ დაცვას, ინტერესთა კონფლიქტის მართვას, კონფიდენციალურობის დაცვას, სამართლიან კონკურენციას და სოციალურ პასუხისმგებლობას.

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კომპანიის ეთიკის პროგრამის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. კომპანიას გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამის ან კორუფციის ნებისმიერი ფორმის მიმართ, ნებისმიერ გარემოში, უშუალოდ ან კომპანიი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ. კომპანიის პოლიტიკა

განსაზღვრავს მკაფიო წესებს საჩუქრებისა და მასპინძლობის, ქველმოქმედებისა და დასპონსორების განხორციელების შესახებ, კრძალავს პოლიტიკურ შემოწირულობებს, მკაცრად მოითხოვს ფინანსური ჩანაწერების სიზუსტესა და გამჭვირვალობას. რეგულარული კომუნიკაცია და თანმიმდევრული ტრენინგები უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელი სრულად იცნობდეს და იცავდეს ამ სტანდარტებს.

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას, მათ შორის საერთაშორისო სანქციების და ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. კომპანიას დანერგილი აქვს მკაცრი პროცედურები კლიენტებისა და ბიზნეს პარტნიორების სათანადო შემოწმებისთვის (KYC), ახორციელებს საეჭვო ტრანზაქციების მუდმივ მონიტორინგს პრევენციული და დეტექტიური კონტროლების გამოყენებით. ბიზნესპარტნიორთა სათანადო შემოწმებისა და შესწავლისათვის ხორციელდება გაფართოებული შესწავლა და სკრინინგი ე.წ. დიუ დილიჯენსი რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. აღნიშნული პროცესი კომპანიას ეხმარება იცნობდეს პოტენციურ ბიზნესპარტნიორს და ნებისმიერი გადაწყვეტილება საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში იყოს გაცნობიერებული და პოტენციური რისკები მიტიგირებული. კომპანიის ეთიკური სტანდარტები ვრცელდება არა მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებზე, არამედ მის ბიზნეს პარტნიორებზეც. ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი განსაზღვრავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რასაც კომპანია მოელის მისი პარტნიორებისგან, მათ შორის ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას, შრომითი უფლებების დაცვას, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ეთიკის პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და მართვა. აღნიშნული პოლიტიკა ეხმარება თანამშრომლებს ამოიცნონ პოტენციური თუ აქტუალური ინტერესთა კონფლიქტები და ადგენს წესებს მათი გამჟღავნებისა და მართვისთვის.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კომპანიაში მოქმედებს მკაფიო პროცედურები სახელმწიფო ორგანოების, ფონდების, კომერციული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უფასო სერვისების მიწოდების შესახებ. ეს პროცედურები მიზნად ისახავს პოტენციური კორუფციის ან ფავორიტიზმის თავიდან აცილებას.

კომპანიის საჩუქრებისა და მასპინძლობის პროცედურა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ეთიკის პროგრამისა. ეს პროცედურა განსაზღვრავს მკაფიო წესებს საჩუქრების მიცემისა და მიღების, ასევე მასპინძლობის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული არასათანადო გავლენა ან ინტერესთა კონფლიქტი.

ეთიკური დარღვევების ან სხვა არასათანადო ქცევის შემთხვევაში, კომპანიაში დანერგილია პროცედურები შიდა გამოძიებების ჩასატარებლად. კომპანიაში მოქმედი მოკვლევის პროცედურა და მოკვლევის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ყველა შემთხვევა იქნას გამოძიებული სამართლიანად და ეფექტურად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია "ისაუბრე ხმამაღლა" (SpeakUp) პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლებმა შეძლონ პრობლემების უსაფრთხოდ დაფიქსირება შურისძიების შიშის გარეშე. ეს პოლიტიკა ადგენს ანონიმურად ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას, იძლევა კონფიდენციალურობის გარანტიებს და მკაცრად კრძალავს სამაგიეროს გადახდის ნებისმიერ მცდელობას.

კომპლაენს პოლიტიკებისა და პროცედურების ეფექტური დანერგვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს. აღნიშნული მოიცავს შიდა ინფორმირებისა და ცხელი ხაზის სისტემის ამუშავებას, საჩუქრებისა და მასპინძლობის გამჟღავნების მკაფიო პროცედურას, კორუმპირებული ქცევის ნებაყოფლობითი გამჟღავნების წახალისებას, ბიზნეს პარტნიორების ინფორმირებას კომპანიის ანტიკორუფციული პრინციპების შესახებ, ანტიკორუფციული მუხლების ჩართვას ყველა ხელშეკრულებაში და რეგულარული ტრენინგ პროგრამების ჩატარებას თანამშრომლებისთვის.

კომპანია მუდმივად აფასებს და აუმჯობესებს თავის ეთიკისა და შესაბამისობის პროგრამას, პერიოდულად ატარებს აუდიტებსა და მონიტორინგს, რათა შეფასდეს პოლიტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა, გამოავლინოს ნაკლოვანებები, შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით. ამ გზით, კომპანია ცდილობს უზრუნველყოს ეთიკისა და შესაბამისობის/კომპლაენს პროგრამის ეფექტურობა და იყოს ცვალებად ბიზნეს გარემოსთან და რეგულაციებთან მუდმივ შესაბამისობაში.

ბიზნეს ეთიკისა და კომპლაენსის სფეროში, სელფი მობაილი ასევე ეწევა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო სამუშაოს ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლებისთვის და აქვს საერთაშორისო მიღწევებიც. კერძოდ, სელფი, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივის, ადგილობრივი სამოქმედო პლატფორმის „ბიზნესის კეთილსინდისიერება და კოლექტიური ძალისხმევა კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ“ თანათავმჯდომარეა. პლატფორმის მეშვეობით, ქსელის წევრ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა კეთილსინდისიერი ბიზნეს პრაქტიკისა და ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვის თაობაზე. პლატფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და შეხვედრები ეხმარება ადგილობრივ კომპანიებს ბიზნეს ოპერაციების საერთაშორისო და ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

მნიშნველოვანი საერთაშორისო აღიარება მოხდა 2024 წელს, როდესაც, გაეროს გლობალური შეთანხმებისა და UNODC-ის თანამშრომლობით შექმნილი “Think Lab for Business Integrity” სამუშაო ჯგუფში წევრობა წილად ხვდა მსოფლიოს მასშტაბით სულ 25 კომპანიას და მათ შორის ერთადერთ ქართულ კომპანიას, სელფი მობაილს. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს მდგრადობის კრიტიკულ საკითხებზე მუშაობას, საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრას და ბიზნესისთვის ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავებას. შედეგად, განახლდება ანტიკორუფციული ეთიკისა და შესაბამისობის გზამკვლევი. გარდა ხსენებულისა, სელფი მობაილის ეთიკისა და კომპლაენს სამსახურის ხელმძღვანელმა, ია მამეიშვილმა მონაწილეობა მიიღო გაეროს ლიდერთა სამიტისა და გაეროს მომავლის სამიტის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში ნიუ იორკში, 2024 წლის სექტემბერში.

<u>გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება</u>

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამჭვირვალე და ეფექტურ კომუნიკაციას თავის პარტნიორებთან, ინვესტორებთან და პოტენციურ ინვესტორებთან. ამ მიზნით, კომპანიას დანერგილი აქვს ყოვლისმომცველი "ინვესტორებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა". ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპანიის შესახებ გამჟღავნდეს დროულად, სამართლიანად და თანმიმდევრულად, მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის ინფორმაციის გამჟღავნების პრაქტიკა ეფუძნება გამჭვირვალობის, დროულობის, თანმიმდევრულობის, სამართლიანობისა და სიზუსტის პრინციპებს. კომპანიას უზრუნველყოფილი აქვს თანაბარი წვდომა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ინვესტორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის კომპანია იყენებს სხვადასხვა არხებს. კომპანიის კორპორატიულ ვებგვერდზე არის სპეციალური "ინვესტორთა ურთიერთობების" განყოფილება, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია და მოიცავს წლიურ და ნახევარწლიურ ფინანსურ ანგარიშებს, მმართველობით ანგარიშს და კორპორაციული მართვის ანგარიშს. ასევე, კომპანია აქვეყნებს პრეს-რელიზებს მნიშვნელოვანი კორპორატიული მოვლენების შესახებ და ამჟღავნებთ მატერიალურ ინფორმაციას შესაბამისი საფონდო ბირჟებისა და მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით.

პარტნიორებთან პირდაპირი კომუნიკაციის მიზნით, წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება პარტნიორთა საერთო კრებას.

კომპანიას აქვს მკაცრი პროცედურები ინსაიდერული ინფორმაციის სათანადოდ მართვისა და გამჟღავნებისთვის, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას და მის სათანადო გამჟღავნებას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, გააჩნია სპეციალური პროტოკოლი კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციისთვის, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას გაუთვალისწინებელ გარემოებებში.

უფლებამოსილების განაწილება

კომპანიის უფლებამოსილების განაწილების სისტემა ეფუძნება 4 ძირითად დოკუმენტს: წესდება, უფლებამოსილების მატრიცა, კომპანიის დებულებას და სახელშეკრულებო სტანდარტებს. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ კომპანიის მართვის გამჭვირვალობას, ეფექტურობას და შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

უფლებამოსილების მატრიცა განსაზღვრავს გენერალური დირექტორის უფლებამოსილების საზღვრებს და საკითხებს რომლებიც საჭიროებენ სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების თანხმობას.

კომპანიის დებულება განსაზღვრავს კომპანიის ძირითად სტრუქტურას და მართვის ორგანოებს. დებულების თანახმად, კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოებია პარტნიორთა კრება და სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი. დებულება დეტალურად აღწერს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს მკაფიო უფლებამოსილებათა გამიჯვნას და ეფექტურ კოორდინაციას.

სახელშეკრულებო სტანდარტები არეგულირებს კომპანიის ურთიერთობებს ბიზნეს პარტნიორებთან. ეს დოკუმენტი ადგენს ხელშეკრულებების გაფორმების, შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს. სტანდარტები მოიცავს დეტალურ ინსტრუქციებს ბიზნეს პარტნიორების შერჩევის, დიუ დილიჯენსის ჩატარების და რისკების შეფასების შესახებ.

უფლებამოსილების განაწილების არსებული სისტემა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობას და გამჭვირვალობას. იგი ხელს უწყობს ბალანსის დაცვას ცენტრალიზებულ კონტროლსა და ოპერატიულ მოქნილობას შორის, რაც აუცილებელია კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის დინამიურ ბიზნეს გარემოში.

კომპანია ვალდებულია დაიცვას კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები და მუდმივად აუმჯობესებს თავის პრაქტიკას. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ეფექტური მართვა, გამჭვირვალობა და პარტნიორთა ინტერესების დაცვა.

ინტერესთა კონფლიქტი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და 5%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი და ობლიგაციების განთავსება

კომპანიას 2023 წლის ოქტომბერში, ევროპის წამყვანმა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ, Scope Ratings-მა BB- საკრედიტო რეიტინგი მიანიჭა, სტაბილური პერსპექტივით. 2024 წლის ოქტომბერში მოხდა ამ რეიტინგის

გადახედვა, რაც სტანდარტულ პროცედურას წარმოადგენს. რეიტინგი უცვლელი დარჩა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კომპანია დასახულ მიზნებს კარგად მიჰყვება, ბაზარზე სტაბილური პოზიცია უჭირავს და სამომავლო განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია. აღნიშნული რეიტინგი საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორში კვლავ ყველაზე მაღალ რეიტინგს წარმოადგენს.
კომპანიის ობლიგაციონერებს საქართველოს წამყვანი კომერციული ბანკები და საპენსიო სააგენტო წარმოადგენენ.

ძირითადი საქმიანობა

სელფი მობაილის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მობილურ საცალო და საბითუმო სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს.

კომპანია მობილური საცალო სატელეკომუნიკაციო მომსახურების სახით მომხმარებლებს (როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს) სთავაზობს ხმოვან, მოკლე ტექსტურ შეტყობინებასა და ინტერნეტს მრავალფეროვანი პროდუქტების სახით.

მობილური საბითუმო მომსახურების სახით კომპანია სატელეკომუნიკაციო ქსელის ელემენტებით/ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან/დაშვებასთან დაკავშირებულ მომსახურებას სთავაზობს, რაც ურთიერთჩართვისა (როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო) და როუმინგის მომსახურებას უზრუნველყოფს.

ტექნოლოგიები

შპს სელფი მობაილის მეშვეობით პირველი მობილური ზარი 2007 წლის 15 მარტს განხორციელდა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებელს უზრუნველყოფს 2G, 3G, 4G და 5G უსადენო მომსახურებით 700, 800, 900, 1800, 2100, 2600 და 3500 მეგა ჰერცის სიხშირეების გამოყენებით. 2024 წელს აქტიურ ფაზაში იყო 5G ქსელის გაფართოების და ქსელის მოდერნიზაციის პროექტები. ეს პროექტები 2025 წელსაც აქტიურად გრძელდება.

5G მეხუთე თაობის უკაბელო ქსელის ტექნოლოგიაა, რომელიც მომხმარებელს სრულიად ახალ გამოცდილებას ჰპირდება. იგი გამოირჩევა გაცილებით სწრაფი ინტერნეტით, დაახლოებით 10-ჯერ უფრო მაღალი გამტარუნარიანობით (რაც უზრუნველყოფს დროის შუალედში უფრო მეტი მოწყობილობის დაკავშირებას) და დაბალი დაყოვნებით, ვიდრე 4G LTE ტექნოლოგია.

5G მნიშვნელოვნად შეცვლის და სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს სხვა ინდუსტრიებსაც, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება, ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და სხვა.


ბაზრის მიმოხილვა


სელფი მობაილთან ერთად საქართველოში მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ძირითად მონაწილეებს შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი წარმოადგენენ. სელფი მობაილ შემოსავლებისა და აბონენტების რაოდენობით მესამე ადგილზეა. მობილური აბონენტების რაოდენობა ბაზარზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.9%-ით გაიზარდა. ხოლო შემოსავლები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 9.9%-ით.

ბაზრის წილები კომპანიების მიხედვით (2024)

კომპანიის მობილური საცალო შემოსავლები 2024 წელს 2023 წლის შესადარის პერიოდთან შედარებით 17.7%-ით გაიზარდა, ხოლო მობილური საცალო ბაზრის საერთო წლიურ ზრდაში სელფი მობაილის წილმა 28.9% შეადგინა. ასევე ბაზარზე სელფი მობაილის აბონენტების რაოდენობა 0.7%-ით გაიზარდა, რამაც საერთო ზრდაში 4.2% შეადგინა.


საცალო შემოსავლების განაწილება ოპერატორების მიხედვით (2024 წელი)






2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მობილური ინტერნეტის ტრაფიკის 18.1%-იანი წილით მესამე ადგილს იკავებს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 19.1%-ს შეადგენდა).

მობილური ინტერნეტის ტრაფიკის განაწილება (თვეების მიხედვით)



მობილური ინტერნეტის ტრაფიკის განაწილება (2022-2024)



სელფი მობაილის ინტერნეტის ტრაფიკის ტრენდი სტაბილურად მზარდია. 2022 წელს დაფიქსირდა ინტერნეტ ტრაფიკის 39%-იანი ზრდა. ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წელსაც 32%-იანი ზრდით. 2024 წელს ტრაფიკი გაიზარდა 12.2%-ით. ზრდის ტემპის კლება ბუნებრივია გასული წლის მაღალი ბაზიდან გამომდინარე. 2024 წლის შედეგებით, საერთო ბაზრის ზრდაში სელფი მობაილის წილი 12.4%-ს შეადგენს.

კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია

სელფი მობაილ განაგრძობს ინოვაციების და ახალი გამოცდილებების შექმნას კავშირგაბმულობის ბაზარზე. მისი განვითარებული ციფრული ეკოსისტემის დამსახურებით კომპანია დგას ციფრული ტრანსფორმაციის სათავეში, რომლის არსიც სიახლეებისთვის, მათ შორის, ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის მზადყოფნაა. სწორედ ციფრული ტრანსფორმაციის ფარგლებში დაიდო, საქართველოს ტელეკომ ბაზარზე, უპრეცედენტო

პარტნიორობის ხელშეკრულება დიდ ბრიტანულ გიგანტთან, ვოდაფონთან. ეს პარტნიორობა ითვალისწინებს ლოიალობის პლატფორმის გაზიარებასთან ერთად, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებასაც, საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას, რაც დაეხმარება სელფი მობაილს განვითარებაში.

კომპანიის სტრატეგიაა გამოიყენოს ეს კონკურენტული უპირატესობა და მომხმარებელს, ლოიალობის პლატფორმის გამოყენებით, შესთავაზოს განსხვავებული და აბონენტის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტები.

გარდა ამისა, კომპანია მიზნად ისახავს შემდეგი მიმართულებებზე კონცენტრირებას:

ქსელის დაფარვის ზონების გაუმჯობესება - კომპანია კვლავ აგრძელებს ქსელის ყველა კომპონენტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (დაფარვის ზონა, გამტარიანობა, უწყვეტობა და ა.შ), რის შედეგადაც მომხმარებლებს საშუალება ექნებათ უფრო მეტ ლოკაციაზე, უკეთესი ხარისხით, მიიღონ მომსახურება. არსებული ქსელის გაფართოებასთან ერთად კომპანიამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ახალი 5G ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით, რომელიც ჯერადად ზრდის ინტერნეტის სიჩქარეს და კომპანიას აძლევს საშუალებას დანერგოს სრულად ახალი სერვისები.

2024 წელს დასრულდა ქსელის მოდერნიზაციის პროექტი, რაც ითვალისწინებდა მორალურად დაძველებული აპარატურის, სრულად ჩანაცვლებას თანამედროვე Single RAN ტექნოლოგიით. ამ პროექტმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა, არსებული სიხშირული სპექტრის გამოყენების ეფექტიანობა, რის შედეგადაც გაიზარდა არსებული საბაზო სადგურების გამტარიანობა.

ასევე სელფი მობაილის აბონენტებს 2024 წლის ოქტომბრიდან უკვე შეუძლიათ ისარგებლონ VoLTE ტექნოლოგიით. VoLTE ტექნოლოგია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მობილური ზარის წამოწყების სისწრაფეს და ხმის ხარისხს.

ციფრული პროდუქტები:

1. MyCellfie აპლიკაცია, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა, მომსახურებების ჩართვა, ტარიფების/ბალანსის შემოწმება და განსაკუთრებული შეთავაზებების მიღება კვლავ რჩება, ყველაზე პოპულარულ აპლიკაციად, ქართულ სატელეკომუნიკაციო სივრცეში.

2. სელფის ვებ გვერდი www.cellfie.ge, რომლითაც 24/7-ზე დისტანციურად შესაძლებელია E-sim ის რამდენიმე კლიკით შეძენა;

3. Digital Touch Screen, რომლითაც „სელფის“ მაღაზიებში შესაძლებელია თვითმომსახურება, ოპერატორის ჩართულობის გარეშე.

2024 წელს, სელფი მობაილმა Google-თან პირდაპირი პარტნიორობის მეშვეობით გააქტიურა აპლიკაციებისა და აპლიკაციებში სერვისების შეძენის შესაძლებლობა Google Play-ში. საქართველოში პირველად მიეცა მომხმარებელს შესაძლებლობა, მობილურის ბალანსის გამოყენებით მარტივად და პირდაპირ შეეძინათ სასურველი სერვისები. ხსენებული სიალხე გამორჩეულია იმით, რომ საქართველოს ახვედრებს გლობალური ტექნოლოგიების რუკაზე. აქამდე, Google-თან ქართული კომპანიების ურთიერთობა შუამავლების მეშვეობით ხდებოდა. ამ შემთხვევაში კი, სელფი მობაილმა უშუაოდ Google-თან ითანამშრომლა.

მომხმარებლის გამოცდილება:

სელფი მობაილისთვის უმნიშვნელოვანესია მომხმარებლისგან მიიღოს უკუკავშირი, რის საფუძველზეც კომპანიას შეუძლია მომხმარებლებს მათზე მორგებული გამოცდილება შესთავაზოს. სწორედ ამიტომ შეიქმნა

მომსახურების გამოცდილების დეპარტამენტი, რომლის მთავარი მიზანი არის მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება.

ასევე, დაემატა ახალი ქოლ-ცენტრი ქალაქ თელავში, რამაც დადებითად იმოქმედა ზარების სტატისტიკაზე - შემცირდა ზარის საშუალო მოლოდინის დრო და უპასუხო ზარების რაოდენობაც.

განავითაროს ციფრული ეკოსისტემა “სელფი მობაილის“ მიზანია კომპანიის მასშტაბით განავითაროს ციფრული ეკოსისტემა. „სელფი მობაილში“ დანერგილი ღია კოდის მქონე, მონაცემების მართვის სისტემები (Hadoop, Hive, Apache Spark, Kafka, etc..) საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მონაცემების მართვა და რთული ანალიტიკური პროცესების წარმოება. ხელმისაწვდომია მანქანური დასწავლისა და ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ინსტრუმენტები. აღნიშნული ინსტრუმენტები ამჟამად უკვე გამოიყენება მომხმარებელთა სეგმენტაციის, ქცევის ანალიზის და შესაბამისი შეთავაზებების/პროდუქტების მართვაში. დამატებით, ბიზნეს პროცესების ეფექტურად სამართავად დანერგილია ორგანიზაციის რესურსების მართვის სისტემა SAP.

სტრატეგიული სამიზნე აუდიტორია - სელფის სამიზნე აუდიტორია აერთიანებს სამი ტიპის მომხმარებლებს:

1) ახალგაზრდა ინტერნეტ თაობა, რომელიც აფასებს ხელმისაწვდომ ინტერნეტ ტარიფებს, წვდომას სტრიმინგ სერვისებზე, მობილური თამაშებსა და ციფრულ კონტენტზე.
2) საშუალო კლასის წარმომადგენელი, რომელმაც აირჩია “სელფი” ხელმისაწვდომობის გამო. მისთვის მნიშვნელოვანია ჭკვიანურად დახარჯოს საკუთარი შემოსავალი და აირჩიოს ყველაზე ხელსაყრელი ოპერატორი. ამ კატეგორიაში აგრეთვე შედიან ორ სიმიანი მომხმარებლებიც.
3) რეგიონში მცხოვრები სელფის მომხმარებლები, რომლებიც სენსიტიურები არიან ტარიფებთან მიმართებაში და ძირითადად მარტივ პროდუქტებს იყენებენ: ზარები, სმს, ინტერნეტი-სოც. ქსელები

სელფი პოზიციონირებს როგორც ე.წ. challenger ბრენდი, რომელიც ახალ საკომუნიკაციო პლატფორმის ფარგლებში/პლატფორმასთან ერთად გელაპარაკება ყველა შენთვის მნიშვნელოვან და საინტერესო თემაზე: „მოგზაურობაზე, სპორტზე, კინოზე, სიყვარულზე, თავისუფლებაზე და ა.შ".

კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სელფი მობაილისთვის დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ძირითადად აბონენტებისაგან, ურთიერთჩართვის და როუმინგის ოპერტორებისაგან და სხვა საბითუმო მომსახურების მომხმარებლებისაგან, ასევე ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).
კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტების ჯგუფის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, ყველა დაუფარავი

საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების მართვას, კომპანიის დებიტორული დავალიანებების თავიდან აცილების მიზნით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო განავეთის რისკი წინაშე, ბანკებიდან ნასესხებ სახსრებსა და გამოშვებულ ობლიგაციებზე.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აქტიური მართვა შესაძლებლობას ქმნის კომპანიის ფინანსური მდგომრეობა იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილების დროს და გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილებების ეფექტს.

სავალუტო რისკი განისაზღვრება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მერყეობით სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად. კომპანიას, ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ მიმართულებებზე გააჩნია სავალუტო რისკი და მის სამართავად ხელმძღვანელობა ბიუჯეტირების პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, კომპანიამ სააღრიცხვო პერიოდში მოახდინა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში კონვერტაცია, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირა სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სასესხო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული მგრძნობელობის ანგარიშები და დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2024 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის გაყიდვების ოფისები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საქართველოს მასშტაბით აქვს 31 საკუთარი მაღაზია, აქედან 12 თბილისში, ხოლო 19 სხვადასხვა რეგიონებში.

საკუთარ მაღაზიებში აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია/დახმარება ნებისმიერ საკითხზე, შეიძინონ სიმ ბარათი (USIM და ESIM), გაიაქტიურონ სასურველი პაკეტები, შეავსონ ბალანსი და დაპორტირდნენ. ამ ყველაფრის განხორციელება მომხმარებელს შეუძლია როგორც გაყიდვების კონსულტანტის დახმარებით, ისე Self-Service ტერმინალის გამოყენებით, რომელიც ჩვენს 27 მაღაზიაში არის წარმოდგენილი.

გარდა საკუთარი მაღაზიებისა, საანგარიშო პერიოდისთვის სელფი მობაილის SIM (USIM მხოლოდ) ბარათების შეძენა შესაძლებელი იყო 10 ფრანჩაიზში და 350 - ზე მეტ სავაჭრო ობიექტში ქვეყნის მაშტაბით. რაც შეეხება მომსახურების ნაწილს, ფრანჩაიზებში სიმის შეძენის გარდა, აბონენტს შეუძლია მიიღოს საკუთარი მაღაზიების მსგავსი სერვისი (ნომრის აღდგენა, პორტირება, მომსახურების ჩართვა, ბალანსის შევსება), ხოლო სავაჭრო ქსელში მხოლოდ ნომრის ყიდვა არის ხელმისაწვდომი, თუმცა არსებობს 30-მდე მსხვილი ობიექტი, რომლებიც ასევე სთავაზობენ აბონენტებს ნომრის აღდგენასა და პორტირებას.

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 378 შეადგინა. დეპარტამენტების მიხედვით თანამშრომლების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

მიმართულება	2024	2023
კომერციული დეპარტამენტი	222	227
ტექნოლოგიების დეპარტამენტი	74	68
ფინანსური დეპარტამენტი	40	39
სხვა	42	31
სულ თანამშრომლების რაოდენობა	378	365

2024 წელს კომპანიაში მოხდა ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება, რის შემდეგაც ბიზნეს ოპერაციების დეპარტამენტი გადაკეთდა კომერციულ დეპარტამენტად. კომერციულ დირექტორის პოზიციაზე კომპანიას შემოუერთდა მარიამ კოპაძე. აქამდე მარიამი იკავებდა საოპერაციო დირეტორის პოზიციას პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების წამყვან კომპანია Making Science – Swift-ში. მისი გამოცდილება სატელეკომუნიკაციო სფეროში, მათ შორის სელფი მობაილში, წამყვან პოზიციებზე 12 წელზე მეტს ითვლის. მარიამის ფართო გამოცდილება, მათ შორის პროდუქტის მართვის, მარკეტინგის, ბიზნეს დაგეგმვის, ანალიტიკისა და პროექტების მართვის მიმართულებით, მნიშვნელოვანად განაპირობებს სელფი მობაილის ციფრული სტრატეგიის წარმატებით განხორციელებას. ასევე, სელფის გუნდს შემოუერთდა ლევან სოფრომაძე, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის პოზიციაზე. ლევანს აქვს გამოცდილება ისეთ კომპანიებში მუშაობის როგორიცაა საქართველოს ბანკი, მაგთიკომი, კავკასუს ონლაინი და ა.შ.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მოგება ან ზარალის ანგარიშგება	2024	2023	ცვლილება	
შემოსავალი მომსახურებიდან	169,730	153,678	16,052	10%
სხვა შემოსულობები	4,191	0	4,191	100%
საოპერაციო შემოსავალი	173,921	153,678	20,243	13%
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(18,853)	(26,197)	7,344	-28%
თანამშრომლების სარგებლის ანაზღაურება	(24,826)	(19,470)	(5,356)	28%
გრძელვადიანი აქტივების ტექნიკური მომსახურება	(8,778)	(6,905)	(1,873)	27%
კომუნალური ხარჯები	(9,506)	(9,555)	49	-1%
მარკეტინგის ხარჯები	(6,111)	(7,714)	1,603	-20.78%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(15,925)	(15,059)	-866	5.75%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(37,777)	(29,277)	(8,500)	29%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(4,318)	(4,257)	(61)	1%
ძირითადი საშუალებების გაუფასურებიდან მიღებული ზარალი	839	(957)	1,796	-188%
საოპერაციო მოგება	48,666	34,287	14,379	42%
ფინანსური ხარჯი	(14,818)	(41,992)	27,174	-65%
ფინანსური შემოსავალი	2,247	1,344	903	67%
საკურსო სხვაობისგან მიღებული მოგება	(389)	13,257	(13,646)	-103%
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(327)	(178)	-149	84%
მოგება მოგების გადასახადამდე	35,379	6,718	28,661	427%
მოგების გადასახადი	0	0	0	0%
წმინდა მოგება	35,379	6,718	28,661	427%

2024 წელს კომპანიის საოპერაციო მოგება 42%-ით გაიზარდა, 2023 წელთან შედარებით. კომპანია მუდმივად ცდილობს შესთავაზოს მომხმარებელს მათზე მორგებული, მრავალფეროვანი პროდუქტები. საანგარიშო წლის მე-2 კვარტლიდან განახლდა სატარიფო გეგმა და პაკეტების შემადგენლობები, რამაც გამოიწვია პაკეტებიდან შემოსავლის ზრდა.

„სხვა შემოსულობები“-ის ნაწილში ვხედავთ თანხას, რომელიც კომპანიამ გრძელვადიანი საგადასახადო დავის შედეგად დაიბრუნა.

შემოსავალი მომსახურებიდან	*2024*	*2023*	*ცვლილება*	
შემოსავალი ერთეული მომსახურებიდან	*30,930*	*31,335*	*(405)*	*-1%*
შემოსავალი პაკეტებიდან	*113,243*	*91,419*	*21,825*	*24%*
შემოსავალი A2P ტექსტური შეტყობინებიდან	*7,293*	*14,211*	*(6,918)*	*-49%*
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	*7,251*	*7,390*	*(139)*	*-2%*
შემოსავალი სტუმარი როუმერებიდან	*5,684*	*4,071*	*1,613*	*40%*
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	*5,329*	*5,252*	*77*	*1%*
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	***169,730***	***153,678***	***16,053***	***10%***

2024 წლის დასაწყისში კომპანიამ გაზარდა ტრანზიტული A2P სმს-ების ფასი, რადგან აღნიშნული მიმართულება ხასიათდებოდა დაბალი მომგებიანობით. ამ გადაწყვეტილების შედეგად შემცირდა შემოსავალი, მაგრამ გაიზარდა საოპერაციო მოგება.

მრავალფეროვანი ციფრული პროდუქტებისა და პაკეტების შეთავაზებებთან ერთად იზრდება ინტერნეტის მოხმარებაც, რასაც ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საანგარიშო პერიოდის შემოსავლების ზრდაში. საცალო მომსახურებებიდან შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი პაკეტებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის და წინა პერიოდთან შედარებით აღნიშნული ზრდა 24%-ს შეადგენს.

სტუმარი როუმერებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, გამოწვეულია პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ტიპით. 2024 წელს დარიცხული შემოსავლის ნაწილი, არის ისეთ პარტნიორებთან, რომელთანაც არ გვაქვს ფასდაკლების პირობები.

თვითღირებულება	*2024*	*2023*	*ცვლილება*	
ურთიერთჩართვის ღირებულება	*10,761*	*11,712*	*(951)*	*-8%*
A2P ტექსტური შეტყობინების ღირებულება	*1,130*	*6,938*	*(5,808)*	*-84%*
კონტენტის ღირებულება	*3,110*	*4,071*	*(961)*	*-24%*
როუმინგის ღირებულება	*1,643*	*1,539*	*104*	*7%*
მონაცემთა გადაცემის ღირებულება	*1,231*	*1,029*	*202*	*20%*
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	*964*	*874*	*90*	*10%*
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	*14*	*33*	*(19)*	*-58%*
სულ თვითღირებულება	***18,853***	***26,197***	***-7 343***	***-28%***

შემოსავლების ზრდასთან ერთად მკვეთრი კლება არის თვითღირებულების ნაწილში, რაც ჯამში 28% შეადგენს.

თვითღირებულების ჯამური კლების უდიდესი ნაწილი გამოწვეულია A2P შეტყობინებებზე, რაც სტრატეგიული ნაბიჯი იყო.

რაც შეეხება ურთიერთჩართვის ღირებულებას, ტრადიციულად კლებადი ტენდენცია აქვს, რადგან მობილური ზარის მოხმარება მცირდება, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

კონტენტის ღირებულების შემცირება გამოწვეულია მომხარებლებისთვის არასაინტერესო ციფრული პროდუქტების მომწოდებელ პარტნიორებთან კონტრაქტების შეწყვეტით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 21 ნოემბრის შემდეგ, დიმიტრი შუღლიაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო, გენერალური დირექტორის პოზიციას, იურიდიული დირექტორი ირაკლი ესართია ითავსებდა. 2025 წლის 1 აპრილიდან კომპანიას გენერალური დირექტორის პოზიციაზე როსტომ ტალახაძე შემოუერთდა.

სელფი მობაილამდე როსტომის კარიერა დაკავშირებული იყო ტექნოლოგიებთან და ციფრულ ბანკებთან. ის იყო თიბისის ციფრული ბანკინგის მიმართულების ხელმძღვანელი. მისი მოღვაწეობისას განხორციელდა ციფრული ბანკის სრულფასოვან პლატფორმად ტრანსფორმაცია.

გენადი როსტომაულმა 2025 წლის 1 იანვრიდან ჩაიბარა სელფი მობაილის ტექნიკური დირექტორის პოზიცია. ის სელფის გუნდს, 2018 წელს შემოუერთდა, ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის პოზიციაზე. მისი ჩართულობით განხორციელდა მრავალი პროექტი, მათ შორის 5G-ის და მობილური ქსელის მოდერნიზაციის პროექტები.

2025 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორის პოზიცია გიორგი ნინიაშვილმა დაიკავა. ის კომპანიაში 2006 წლიდან მოღვაწეობს, შესაბამისად აქვს უდიდესი გამოცდილება და უამრავ პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული.

თამარ ჯიქია 2025 წლის 1 თებერვლიდან იკავებს პროექტების მართვის დირექტორის თანამდებობას. ის სელფი მობაილის გუნდს 2008 წელს შემოუერთდა და მისი ხელმძღვანელობით მომხმარებელმა მიიღო უამრავი წარმატებული კამპანია. ასევე მისი დამსახურებაა სელფი მობაილის ბოლო დროინდელი ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი პროდუქტები.

2025 წლის 22 იანვარს, ხელი მოეწერა Vodafone-თან ლოიალობის პლატფორმის (HAPPY) გაზიარების ხელშეკრულებას. ქართულ ტელეკომ ბაზარზე ეს არის უპრეცედენტო ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას, გამოცდილი და სანდო პლატფორმის გამოყენებით, მიიღოს მასზე მორგებული შეთავაზებები და ფასდაკლებები.

14 მაისი 2025

როსტომ ტალახაძე / გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია / ფინანსური დირექტორი

კონტენტის ღირებულების შემცირება გამოწვეულია მომხარებლებისთვის არასაინტერესო ციფრული პროდუქტების მომწოდებელ პარტნიორებთან კონტრაქტების შეწყვეტით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 21 ნოემბრის შემდეგ, დიმიტრი შუღლიაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო, გენერალური დირექტორის პოზიციას, იურიდიული დირექტორი ირაკლი ესართია ითავსებდა. 2025 წლის 1 აპრილიდან კომპანიას გენერალური დირექტორის პოზიციაზე როსტომ ტალახაძე შემოუერთდა.

სელფი მობაილამდე როსტომის კარიერა დაკავშირებული იყო ტექნოლოგიებთან და ციფრულ ბანკებთან. ის იყო თიბისის ციფრული ბანკინგის მიმართულების ხელმძღვანელი. მისი მოღვაწეობისას განხორციელდა ციფრული ბანკის სრულფასოვან პლატფორმად ტრანსფორმაცია.

გენადი როსტომაულმა 2025 წლის 1 იანვრიდან ჩაიბარა სელფი მობაილის ტექნიკური დირექტორის პოზიცია. ის სელფის გუნდს, 2018 წელს შემოუერთდა, ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის პოზიციაზე. მისი ჩართულობით განხორციელდა მრავალი პროექტი, მათ შორის 5G-ის და მობილური ქსელის მოდერნიზაციის პროექტები.

2025 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორის პოზიცია გიორგი ნინიაშვილმა დაიკავა. ის კომპანიაში 2006 წლიდან მოღვაწეობს, შესაბამისად აქვს უდიდესი გამოცდილება და უამრავ პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული.

თამარ ჯიქია 2025 წლის 1 თებერვლიდან იკავებს პროექტების მართვის დირექტორის თანამდებობას. ის სელფი მობაილის გუნდს 2008 წელს შემოუერთდა და მისი ხელმძღვანელობით მომხმარებელმა მიიღო უამრავი წარმატებული კამპანია. ასევე მისი დამსახურებაა სელფი მობაილის ბოლო დროინდელი ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი პროდუქტები.

2025 წლის 22 იანვარს, ხელი მოეწერა Vodafone-თან ლოიალობის პლატფორმის (HAPPY) გაზიარების ხელშეკრულებას. ქართულ ტელეკომ ბაზარზე ეს არის უპრეცედენტო ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას, გამოცდილი და სანდო პლატფორმის გამოყენებით, მიიღოს მასზე მორგებული შეთავაზებები და ფასდაკლებები.

14 მაისი 2025

როსტომ ტალახაძე / გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია / ფინანსური დირექტორი

14 მაისი 2025

პასუხისმგებელი პირების განცხადება

2024 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

• ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, ზუსტად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.

• მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს: კორპორაციული მართვის ანგარიშს, ბიზნესისა და კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

• მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და უზრუნველყოფს აქციონერებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ბიზნესსტრატეგიის შესაფასებლად.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია კომპანის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორტა საბჭოს მიერ.

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

გიორგი ვერძაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გ. ვერძაძე

შპს სელფი მობაილ/ LLC Cellfie mobile
საფოსტო მისამართი: მექანიზაციის ქ. 1, სადარბაზო 1, 12ბ, თბილისი 0192, საქართველო / Postal address: 1, Mechanization str, block 1 12b., 0192 Tbilisi, Georgia
იურიდიული მისამართი: ბამბის რიგი 8, თბილისი 0105, საქართველო / 8, Bambis Rigi, 0105 Tbilisi, Georgia

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

Application
on submitting Corporate Governance Compliance Report

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) 2 7 / 0 9 / 2 0 2 4

1.ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER	
ემიტენტის სახელწოდება/Issuer`s Name	სელფი მობაილ
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	ქ. თბილისი ბამბის როგი N8
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ქ. თბილისი მექანიზაციის ქუჩა 1.
ტელეფონის ნომერი/Contact Number	597100104
ელ.ფოსტა/E-mail	info@cellfie.ge
ვებ-გვერდი/Web Site	www.cellfie.ge


2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით)/
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

1. შპს „სელფი მობაილ“-ის დებულება (16 ფურცლად);
2. შპს „სელფი მობაილ“-ის კორპორაციული მდივნის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (4 ფურცლად);
3. შპს „სელფი მობაილ“-ის რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება (5 ფურცლად)
4. შპს „სელფი მობაილ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების და შეფასების პროცედურა (5ფურცლად);

5. შპს „სელფი მობაილ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები (3 ფურცლად);
6. შპს „სელფი მობაილ“-ის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და პრემირების შესახებ (11 ფურცლად).

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	როსტომ ტალახაძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	გენერალური დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	501000169
ელ.ფოსტა/E-mail	rtalakhadze@cellfie.ge

ხელმოწერა /Signature	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
	1 4 / 0 5 / 2 0 2 5

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიურ ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	კორპორაციული მართვის კოდექსი	

5. შპს „სელფი მობაილ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები (3 ფურცლად);
6. შპს „სელფი მობაილ“-ის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და პრემირების შესახებ (11 ფურცლად).

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	როსტომ ტალახაძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	გენერალური დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	501000169
ელ.ფოსტა/E-mail	rtalakhadze@cellfie.ge

ხელმოწერა /Signature	
	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) 1 4 / 0 5 / 2 0 2 5

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	კორპორაციული მართვის კოდექსი	

კორპორაციუ ლი მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა)საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	კორპორაციული მმართველობა გვ 5	წესდება/კორპორ აციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაე ნსი- გვ 15	ქცევის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ)საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;	კი	კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია - გვ 21	სამეთვალყურეო საბჭოზე დამტკიცებული სტრატეგია	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:	კი	გარემოსდაცითი პოლიტიკა-გვ 13	გარემოსდაცითი პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ა" ქვეპუნქტი)	დ.ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა -გვ 13	HR პოლიტიკა/ანაზღ შრომის ანაზღაურების პოლიტიკა/შრომ ის უსაფრთხოების პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ბ" ქვეპუნქტი)	დ.ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი	შრომის უსაფრთხოება გვ 11	შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კი	გარემოსდაცითი პოლიტიკა-გვ 13	გარემოს დაცვითი პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე)საწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის	კი	აუდიტის კომიტეტი - გვ 7 რისკების მართვა - გვ 9	აუდიტის კომიტეტის დებულება/რისკე ბისა და შიდა აუდიტის	

	მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;			კომიტეტის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კი	მმართველი ორგანო და მენეჯმენტი -გვ 5-8 უფლებამოსილების განაწილება - გვ 17	წესდება/უფლება მოსილების მატრიცა/დებულება/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება/სახელშეკრულებო სტანდარტები/ბრძანებების ვიზირების პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 16	ისაუბრე ხმამაღლა (Speake up) პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	კი	გამჭვირვალობა და ინფორმაციის გამჟღავნება -გვ 16	კომპანიის ვებ გვერდი https://cellfe.ge/ კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	კი	კორპორაციული მართვის ანგარიაში-გვ 5-17	კორპორაციული მართვის კოდექსი/კომპანიაში მოქმედი სხვა პროცედურები და პოლიტიკები	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 14-16	ქცევის კოდექსი/ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა/მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა („ABC“)/	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 15	ქცევის კოდექსი/ მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა („ABC“)/ სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 15	წესდება/ქცევის კოდექსი/ ABC პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა/სასამსახურო ხელშეკრულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 15	ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 15	მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის (ABC) პოლიტიკა/ საჩუქრების და მასპინძლობის პროცედურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 16	ისაუბრე ხმამაღლა - SpeakUp პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 14-15	ქცევის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაენსი- გვ 14	ქცევის კოდექსი მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ABC პოლიტიკა/ AML&CTF პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და	SpeakUp პოლიტიკა	

(მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონო/ შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენ– ციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება. ანონიმური მხილების სისტემა, მათ შორის, უნდა აწესრიგებდეს დაფიქსირებული ფაქტების მოკვლევისა და რეაგირების პროცედურულ საკითხებსაც. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.		შესაბამისობა/კომპლაე ნსი- გვ 16	მოკვლევისა და დისციპლინარუ ლი კომიტეტის („IDC“) წესდება/მოკვლე ვის პროცედურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კი	სამეთვალყურეო საბჭო -გვ 5-6	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაე ნსი- გვ 15	ქცევის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:	კი	სამეთვალყურეო საბჭო -გვ 6	წესდება/ სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების და შეფასების პროცედურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაე ნსი- გვ 15	ქცევის კოდექსი/სამეთვა ლყურეო საბჭოს თვითშეფასების პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილე– ბების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	მმართველი ორგანო და მენეჯმენტი -გვ 6-8 უფლებამოსილების განაწილება - გვ 17	დებულება/უფლ ებამოსილების მატრიცა/წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოსროლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად	კი	ქცევის/ეთიკის კოდექსი და შესაბამისობა/კომპლაე ნსი- გვ 14- 16	ქცევის კოდექსი/კორპორ აციული მართვის კოდექსი	

	მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კი	კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია - გვ 21	წესდება/ უფლებამოსილების მატრიცა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კი	რისკების მართვა -გვ 10	კორპორაციული მართვის კოდექსი/ რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება/რისკების მართვის პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	კი	სამეთვალყურეო საბჭო-გვ 6	უფლებამოსილების მატრიცა/წესდება /კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კი	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა- გვ 13-14	წესდება/ულებამოსილების მატრიცა/შრომის ანაზღაურების დებულება	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	კი	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა- გვ 13-14	HR- პოლიტიკა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/უფლება მოსილების მატრიცა/კორპორაციული მართვის კიდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/ პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/კორპორაციული მართვის კოდექსი/სამეთვალყურეო საბჭოს თვითსეფასების პროცედურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხვდებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/კორპორაციული მართვის კოდექსი/რისკების მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება/	

	პოზიციებს, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი,სოციალ ურ და მმართველობის საკითხებს.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კირტერიუმები და პროცედურები.	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/კორპორ აციული მართვის კოდექსი	

	უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 3)	საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 5)	საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 6)	საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/კორპორაციული მართვის კოდექსი	

	კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/კორპორაციული მართვის კოდექსი/სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 3)	თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.	კი	სამეთვალყურეო საბჭო- გვ 6	წესდება/სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასებისა და შეფასების პროცედურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტების დებულების შესაბამისად.	კი	აუდიტის კომიტეტი- გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 2); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1))	ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.	კი	აუდიტის კომიტეტი- გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება/სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 3 და პუნქტი 4)	ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნაც, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. ამასთან, გარკვეულ ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებისთვის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპეციფიკური მიზნობრიობის მქონე ცალკე კომიტეტების შექმნა, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების,	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-10 ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა - გვ 13-14	რსიკების მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება/შრომის ანაზღაურების პოლიტიკა/ადამიანური რესურსების პოლიტიკა	კომპანიას არ აქვს შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული სხვა კომიტეტებში გარდა აუდიტის კომიტეტისა. აღნიშნული პოლიტიკები არეგულირებენ შესაბამისი საკითხების სამეთვალყურეოსთან ანგარიშვალდებულებას.

	უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კომიტეტები. რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.	კი	სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი გვ 5-7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 6)	კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან.	კი	კორპორაციული მდივანი-გვ 8	კორპორაციული მდივნის უფლებამოსილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 7)	კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 8)	კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა იკრიბებოდნენ წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება/კორპორაციული მართვის კოდექსი	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 9)	სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტებში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 1)	აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება/კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;	კი/ალტერნატივა	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება/აუდიტის კომიტეტის დებულება	შიდა აუდიტი არ გვაქვს და აღნიშნულ შიდა კონტროლის ფუნქციას ასრულებს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	

	სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2 "ე" ქვეპუნქტი)	ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	ალტერნატივა	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	განიხილავს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის ეფექტიანობას და დამოუკიდებლობას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა	ალტერნატივა	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	კომპანიას არ გააჩნია შიდა აუდიტის განყოფილება, აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "თ" ქვეპუნქტი)	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ი" ქვეპუნქტი)	ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "კ" ქვეპუნქტი)	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ლ" ქვეპუნქტი)	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7 რისკების მართვა-გვ 9	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 3); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1), პუნქტი 1)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 4);	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ა" ქვეპუნქტი);	ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	აუდიტის კომიტეტის დებულება	

	საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ა" ქვეპუნქტი);	ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა.	კი	აუდიტის კომიტეტი-გვ 7	კორპორაციული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1);	საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთაგან შეიქმნას რისკების კომიტეტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად:	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	შექმნილია რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი);	ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს;	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიაში არსებობს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიაში არსებობს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი);	გ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიას დირექტორთა საბჭო არ გააჩნია. რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი აკონტროლებს საწარმოს

					რისკების პოლიტიკას თან შესაბამისობა ს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი);	დ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკე ბისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიაში არსებობს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი და რეკომენდაც იებს რისკებთან დაკავშირები თ წარუდგენს აუდიტის კომიტეტს და შემდგომ სამეთვალყუ რეო საბჭოს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 2);	რისკების კომიტეტი მუდმივად უნდა იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით.	კი	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკე ბისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიაში არსებობს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 3);	რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალიწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკე ბისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	კომპანიაში არსებობს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი რომელიც თავის სამუშაო შედეგებს წარუდგენს სამეთვალყუ რეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს და შემდეგ აღნიშნული საკითხები წარედგინება სამეთვალყუ რეო საბჭოს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 4);	ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, რისკების კომიტეტს სრული წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს,	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-11	რისკებისა მართვის პოლიტიკა/რისკე ბისა და შიდა აუდიტის	რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი აკონტროლებ ს საწარმოს

	რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან.			კომიტეტის წესდება	რისკების პოლიტიკას თან შესაბამისობა ს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი ხელს უნდა უწყობდეს სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამ ხედველო მოთხოვნებს.	ალტერნატივა	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა -გვ 13-14	შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დებულება/უფლ ებამოსილების მატრიცა/ ადამიანირი რესურსების (HR) პოლიტიკა	საზოგადოებ ას არ გააჩნია ანაზღაურებ ის კომიტეტი მაგრამ აღნიშნულ პროცესები რეგულირდე ბა სამეთვალყუ რეო საბჭოს მიერ დამტკიცებუ ლი პოლიტიკები თა და პროცედურე ბით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2)	ანაზღაურების კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	ალტერნატივა	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა -გვ 13-14	შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დებულება	საწარმოს ანაზღაურებ ის პოლიტიკას განიხილავს ყოველწლიუ რად კომპანიის მენეჯმენტი და რეკომენდაც იებს წარუდგენს სამეთვალყუ რეო საბჭოს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;	ალტერნატივა	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა -გვ 13-14	შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დებულება	საწარმოს ანაზღაურებ ის პოლიტიკას განიხილავს ყოველწლიუ რად კომპანიის მენეჯმენტი და რეკომენდაც იებს წარუდგენს სამეთვალყუ რეო საბჭოს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.	ალტერნატივა	ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკა და ანაზღაურების პოლიტიკა -გვ 13-14	შრომის ანაზღაურებისა და პრემირების დებულება/უფლ ებამოსილების მატრიცა	გენერალურ ი დირექტორი წარუდგენს თავის მოსაზრებებს და ამტკიცებს

					სამეტვალყუ რეო საბჭო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კორპორაციული მართვის კომიტეტი, გარდა სხვა ფუნქციების შესრულებისა:	ალტერნატივა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ა" ქვეპუნქტი)	ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-10	რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	ამ ფუნქციას ასრულებს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ორგანიზაციის რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.	ალტერნატივა	რისკების მართვა- გვ 9-10	რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება	ამ ფუნქციას ასრულებს რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტი
